ჩემი პოეზია

პ ო ე ზ ი ა ა

20 ივნისი 13

ჩემი ჰობი

პ ო ე ზ ი ა ა

ლიტერატურული ალმანახი № 8

UDC(უაკ)821.353.1(051.2)
ჩ-433

რედაქტორები: კლარა
გელაშვილი
მაყვალა ხაჩიძე
მარიამ ნოზაძე

პერიოდული გამოცემა
გამომცემელი: ლერი ნოზაძე
ISSN 1512 – 1542

ეკა ბაქრაძე

დაიბადა ქ. ხაშურში. სწავლობდა ხაშურის მე-9 (ყოფილი 25-ე) საშუალო სკოლაში. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

ლექსები იბეჭდება 10 წლიდან. გამოცემული აქვს 4 პოეტური კრებული.

მისი ლექსები ითარგმნა რუსულ, უკრაინულ, ებრაულ, თურქულ და ინგლისურ ენებზე.

* * *

გუშინ ქალაქში რომ ბიჭი დადიოდა,
თხემით ტერფამდე ჩაუქი, ქართველი...
ღვთისმშობელს სიხარულის ცრემლები სდიოდა,
სამების სამრეკლოს თავს ადგა ნათელი...
ქართული ხალხური ზღაპრიდან გადმოსული
პატარა მზეჭაბუკი ბიჭი დამწღაზრული,
წმინდა გიორგივით მადლმოსხმული,
თეთრი მხედარივით აღკაზმული...
ჩოხის კალთას რომ აიკაპიწებს და
ცის ტატნობზე, მზეს მზერას თამამად გაუმართავს,
ტაძართან მონაზონი პირჯვარს გადიწერს და :
-ჰოი, საქართველოს მართლა გაუმართლა!
-ეს ვინ მოსულაო! - იტყვის დარდიანად,
ლოცვას საგზალივით უხვად გააყოლებს,
ისეთი ალერსით და ისე მადლიანად -
მეტი სასწაული, ღმერთო, გამაგონე!
-ნეტავ შენს დედასაო! ცის კარი გაიღო
თუ უფლის ანგელოზი კვლავ ალაპარაკდა?
აქ რა მოგიყვანდა, ასე რომ არ იყოს -
ამ მოლოდინივით გადაღლილ ქალაქთან...

ჩემი ჰობი პოეზიაა

გუშინ ქალაქში რომ ბიჭი დადიოდა,
ქუჩა თან მოჰქონდა გზა-გზა აკენკილი,
სიყვარულითა და ნათელი ღიმილით
სავსე ბოღჩასავით, მზერით დაკემკილი...
მეტეხს ხერხემალზე ააცოცდა,
მამა დავითი რომ მოიხილა,
კარგა გვარიანად მოილხინა,
როცა დაიღალა, ჩაიძინა...
ვაჟას რომ ლექსი გაუბედა,
ილიამ ულვაშებში ჩაიცინა...
გალაკტიონმა ხომ გულით გაიხარა,
ბიჭი რომ საფლავთან დაიხარა,
მთაწმინდამ ჯანღი გადიყარა...
ცა იყო საოცრად მეწამული...
-მაგას ვეღარაფერს უშველითო -
სისხლი ლექსით აქვსო მოწამლული -
გოგლა თავისთვის ხითხითებდა,
თანაც რაღაცას მითითებდა:
-ეს ვინ მოსულაო! ეს ვინ მოსულაო?
თეთრი ანგელოსის სადარიო,
ბიჭი შფოთავდა და აღარ ისვენებდა:
-რუსთველის საფლავი სად არიო?
გუშინ ქალაქში რომ ბიჭი დადიოდა,
თხემით ტერფამდე ჩაუქი, ქართველი...
ღვთისმშობელს სიხარულის ცრემლები სდიოდა,
სამების სამრეკლოს თავს ადგა ნათელი...
ქართული ხალხური ზღაპრიდან გადმოსული,
ჩემი უნაზესი დარდია და ...
ჩემსავით... ჩემზე უფრო მარტოსული.

* * *

მე მათუსალას ასაკს გადავცდი...
ყოფნა-არყოფნის მიჯნას გადავცდი -
მრავლის მომსწრე და ყოვლის მნახველი,
უხსოვარ დღეთა თანამზრახველი.
გზაჯვარედინზე ვდგავარ და გელი..
რამდენი რამე მაქვს გასამხელი,
მაგრამ სათქმელი მეჩოთირება ...

სიტყვა ყლუპივით ყელში გადამცდა,
არც სახე შემრჩა, აღარც სახელი...
მე მათუსალას ასაკს გადამცდარს,
ხომ მომიტევებ ცოდვას გამხელილს?!
ო, ყოვლისშემწევ, ღმერთო მაღალო,
უხსოვარ დღეთა ხსოვნის წინაშე
თავი მიწამდე უნდა დავხარო...
ვეღარ ცნობ ევას, ვერც ადამის ძეს -
ჯოჯოხეთის კუპრს ანთხევს სამყარო!..
სამოთხის ბაღი უწყალოდ ჩეხეს,
ზურგი აქციეს ხატს და მაცხოვარს..
ვინ დაუკოცნის სატანას ფეხებს?
ვინ უწყალობებს ხურდას მათხოვარს?...
აჰა, შედეგი!
ვინ არს შემდეგი?
ვინ არს შემდეგი?
ვინ არს შემდეგი!!!
გზაჯვარედინზე ვდგავარ და გელი..
და უსასრულო ღამეს ვითენებ..
ხის კენწეროზე ნებივრობს გველი -
უზარმაზარი ჭრელი პითონი..
შემომაშველე ძლიერი ხელი,
უფალო ჩემო, გზა გამიმრთელე!
სულს სამარემდე მაინც მივათრევ,
არ ჩამდგომია მგლის მუხლში დაღლა!
მე დიოგენეს ფარანს ვინათებ,
მე მათუსალას ხნისა ვარ ახლა!!
მე მათუსალას ასაკს გადავცდი...

ჩემი ორეული ანუ ავატარი

ხომ შეიძლება ოდესმე, სადმე,
ანაზდად, გზაში გადაგეყარო?
რას იზამ მაშინ, სად შენ და სად მე...
არ გამიკაწრო სული ეკალო.
ცვრიანი ვარდი და მირიადი
დარდი უსიტყვოდ აყოვნებს ამ წამს,
სიჩუმე სულში ხმაურით დადის,

ცრემლი ყულფივით ეფსკვნება წამწამს...
წვიმის წვეთებად შეაშრა ღამე
სუნთქვით დაორთქლილ სარკმელს მინაზე,
დავრჩით პირისპირ ის ქალი და მე -
გველის სიბრძნე და ვარდის სინაზე...

* * *

გავყიდი ლერწმის ბწკარისფერ კაბას,
მერე იმ ფულით გიყიდი ანბანს,
როცა გადაშლი ცხოვრების დავთარს,
თავად გაარჩევ მტყუანს და მართალს.
მიხვდები ვინ ხარ, ვისი რა გმართებს,
გავყიდი მძივებს, ვიყიდი სანთლებს
და დავუკოცნი ღვთისმშობელს კალთებს
შენი ამ ქვეყნად მოვლინებისთვის,
განგებისა და უფლის ნებისთვის
გავყიდი ბეჭედს და დაგიმშვენებ
ქართული ჩოხით განიერ ბეჭებს
ვიცი, რარიგად უხდებათ ბიჭებს,
ქართული სულის მოხდენის ნიჭი
და მოგუგუნე დედო ზარების
ხმა იდუმალი და ახლობელი,
როგორც ჰაერი, როგორც მშობელი,
წყალი, საკვები, მთები, ველები
და მოამაგე თბილი ხელები...
ჰო, რა თქმა უნდა, ძველთაძველ სკივრსაც
გავყიდი როგორც ლერწმისფერ კაბას
და მოვუნათლავთ მეგობარს შვილსაც,
სახელად ალბათ დავარქმევთ საბას.
გავყიდი ალბათ (რომ მქონდეს) სახლსაც
და თავი ქვასაც უნდა ვახალო,
შენ რომ დაგჭირდეს და გაგიჭირდეს,
შენს განკაცებას რომ მოვახმარო,
მაგრამ ვერასდროს მე ვერ გავყიდი -
სულსა და სინდისს, მშობლიურ მიწას!
რომ არ დამირჩე როგორც ხიზანი
შენსავ მამულში, რომ არ დაკარგოს

ჩემი ჰობი პოეზიაა

სიცოცხლემ აზრი, აზრმა - მიზანი...
ბოლოს და ბოლოს, გავყიდი წიგნებს
მათთვის, ვინც ქვეყნად გზას ვეღარ იგნებს...
მას, ვინც საკუთარ ღირსებას იცავს
საგულდაგულოდ გადამალული
გადასარჩენი უფლის შვილებით,
იმედის ჭიგოდ შევეშველები...
ის ვინც საკუთარ ღირსებას იცავს,
იცავს სიცოცხლეს, რწმენას და მიწას...
ჭირთა დათმენით და მოკრძალებით,
სულთმოფენობის ღვთიურ ძალებით
ვდგავართ სიცოცხლის სადარაჯოზე
ჩვენ, საქართველოს ამორძალები!
გავყიდი ლერწმის ბწკარისფერ კაბას,
და უსათუოდ გიყიდი ანბანს,
მერე გიამბობ ჯადოსნურ ზღაპარს,
ლექსს წავუკითხავთ კახეთში პაპას...
ჯერ რას გაიგებ ბარისას, მთისას...
და იმედებით გაძეძგილ ქისას
ბალიშქვეშ ვმალავ, გისწორებ საბანს,
ხვალ უსათუოდ მოვნათლავთ საბას...

* * *

ასი ათასი მოწამის სისხლი
წვეთავს და წვეთავს ... წვეთავს და წვეთავს...
ჯვრის მონასტერთან საკინძეს იხსნის
და თვალს არიდებს არაგვი მცხეთას.
მტკვარი მეწამულ ფერს იცვლის ჩუმად
და დაინთქმება მწუხრში ყოველი,
როცა სიონის მორღვეულ გუმბათს
მისწვდება კვნესა სვეტიცხოველის ...
ჯვრის მონასტერთან მტკვარსა და არაგვს
თვალს ვერ უსწორებს ბებერი მნათე,
ვიღაც ლოცულობს საკურთხეველთან
და მირონი სდის უძველეს ხატებს...
ასი ათასი მოწამის სისხლით
წარსული ჩემში სინათლეს ანთებს!

ციცინო ბურნაძე

დაიბადა 1943წლის 17 აპრილს, ხაშურში. დაამთავრა ხაშურის პირველი საშუალო სკოლა, შემდეგ კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორის მოადგილედ, ხაშურის ახალგაზრდობის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი, ბოლო წლებში მუშაობდა ხცისის საჯარო სკოლის დირექტორად.გარდაცვალებამდე კი დირექტორის მოადგილედ. გარდაიცვალა 2011 წელს.

ღმერთო დალოცე

უწმინდესს და უნეტარესს,
კათალიკოს პატრიარქს,
კელაპტარი უნთია და
ღვთისნიერი სახე აქვს.
ლექსო ტკბილად იღიმება:
„აი, დიდი მამაო“...
სურათს ბებოს უჩვენებს და
პირჯვარს იწერს თანაო.
ლოცვას ერთად აღავლენენ,
მათი სახე ბრწყინდება,
ორ წლამდეა შვილთაშვილი,
საუკუნის - დიდედა.
სწამთ, უფალი მათ წრფელ ლოცვას
რომ შეისმენს უმალვე,
შვილთაშვილი იღიმება,
თითქოს მზეა მხურვალე.
დიდედასაც სიხარულის

ჩემი ჰობი პოეზიაა

ცრემლი დასდის მდუღარე,
ღმერთო, ღმერთო შეეწიე,
ულხინე და უხარე.
საქართველოს, წილადხვდომილს
დედაღვთისმშობელისას,
არ მოაკლო ყრმა და ჩვილი
სამრავლებლად ერისა.
არ მოაკლო დიდედები,
გვარში დიდი პაპები,
მადლი წმინდა ნინოს ჯვრის და
სვეტიცხოველ-სამების.
დაულოცე საქართველოს
უწმინდესი ილიაც,
ასი წლისაც, ყველა თოთოც
მისი წილხვდომილია.
კვლავ გვენახოს სანთლით ხელში
ლექსო ბიჭის სადარი,
დიდედასთან ერთად ლოცვად
 მის წინ მუხლზე დამდგარი.

ღვთისმშობლისადმი

ო, ღვთისმშობელო,
უბე-კალთა სავსე გაქვს მადლით
და ღვთისმორწმუნეთ
მოწყალე თვალს გვაყოლებ მაღლით.
მართლმადიდებელთ
ხელთუქმნელი გვიბოძე ხატი,
ცოდვილ სამყაროს
ნუგეშს სცემ და იფარავ კალთით.
მომადლებულო,
მუხლს გიყრით და აღვავლენთ ლოცვას,
როდესაც გვილხინს
მორწმუნეთ და ჭირს გვძლევს როცა.
დედავ ღვთისაო,
მოწყალე თვალს გვაყოლებ მაღლით
და კურთხეულო,

ჩემი ჰობი პოეზიაა

უბე-კალთა სავსე გაქვს მადლით.
ქრისტიანეთა
თაყვანი გცეთ, ჩვენი წესია,
რადგან ქვეყანას
მოუვლინე შვილი, მესიად...

საქართველოს

შენ ხარ ყველა ქართველის
გულის ცხელი წერტილი,
ფეთქავ ისევ სისხლსავსედ,
განა სისხლდაწრეტილი.
არ გვქონია არასდროს
ისტორია წყვეტილი,
შენ ხარ დედამიწაზე
ქართველთ ცხელი წერტილი.
ბევრმა გკადრა ბოროტი,
ბევრმაც - საქმე კეთილი,
არ ყოფილხარ არასდროს
მოყვრებამოწყვეტილი.
თუმცა კითხვის ნიშანი
თავსზედ ბევრჯერ გეკიდა,
როცა ხმალი ან სიტყვა
მართალ საქმეს ვერ სჭრიდა.
ღმერთი მაინც გფარავდა,
ღმერთი კვლავ დაგიფარავს,
ბნელს მიარღვევ მარადჟამს,
როგორც ხარი წიქარა.
შენი ერი გიცავდა
სამოთხეო მიწავ და
დღესაც ვდგავართ მუხლებზე
შენთვის ლოცვად, ფიცად და
შენ ხარ ყველა ქართველის
გულის ცხელი წერტილი,
ნურც ენახოს ნურავის
სულმკვდარ-სისხლდაწრეტილი.

ვიდრე ზამთარი

შემოდგომაზე, შემოდგომაზე
ჰაერი თვრება ღვინის სურნელით,
ქარის უეცარ ამოსუნთქვაზე
ისევ მიჩნდება შენი სურვილი.
გადაფრენილან თუმცა მერცხლები,
ისევ ოცნების კარებს შევაღებ,
მოდი, ძველებურ დავიფერფლები,
მოდი და თმებზე ხელი შემახე.
შემოდგომაა, ღვინის სურნელი
ლამის ძილს მიფრთხობს, შენს თავს მახსენებს
და ავყოლივარ ვიდრემდე სურვილს,
მოდი და ისევ ენდე ამ ხელებს.
ჩემს შემოდგომას უწამლე, ვიდრე
მოვა ზამთარი სითეთრით მშვენი,
ვიდრე მაჭარი ძარღვებში ჩქეფს და
ვიდრე დადუღდა სურვილი შენი.

მცხეთა

დგას შემოდგომა, სიმსუყით ფერთა.
მეფეთ საძვალე - ბებერი მცხეთა.
აქ მე შორენა შემომეფეთა,
აქ არსაკიძეც შემომეფეთა.
წარსულზე დარდი სულზე მეკვეთა,
რომელ მიდია, რომელი ხეთა...
ქართვლის დიდება - ბებერი მცხეთა...
დგას შემოდგომა, სიმსუყით ფერთა.
ისე, უბრალოდ, არც რამის გამო,
დაუფლებია გულს მწველი სევდა,
მომწყურებია არაგვი, მტკვარი,
სვეტიცხოველი - სავანე ღმერთთა.
ჯვარი, სამთავრო, სადგომი ბერთა,
მესაიდუმლე არმაზი წელთა,
წარსულზე დარდი მავსებს წვეთ-წვეთად
აღარ ბრიალებს ყაყაჩო ველთა...

ჩემი ჰობი პოეზიაა

მალე იხუვლებს დუმილი ხევთა,
განძარცვავს ქარი ფოთლებს ამ ხეთა,
აქ მე შორენა შემომეფეთა,
მეფე გიორგიც შემომეფეთა.
დგას შემოდგომა, სიმსუყით ფერთა...
რომელ მიდია, რომელი ხეთა...
ისე, უბრალოდ, არაფრის გამო
მომნატრებია სატახტო მცხეთა.

გაზაფხულის მონატრება

მარტი მარტივით მარტივი,
მოვა წვიმების შოლტებით,
მერე ვარდისფრად იელვებს
ატმის და ნუშის ტოტებით.
აპრილს ჩამატოვს ხელებში,
ცისკენ გაყვება ბილიკებს,
აპრილიც მინდორს გადირბენს
და ჩუმად ჩაიქილიკებს.
ვარდობისთვე კი სულ მალე
იასამნებში ჩაჯდება
და გაზაფხული ლიცლიცით
კელაპტარივით გაქრება.
თეთრკაბა, მწვანეჩიქილა
წვიმის ნაწნავთა შოლტებით
მატკბობს შაშვთა და ბულბულთა
პიანოთი და ფორტეთი.
მარტი, აპრილი, მაისი
ბრწყინავენ ოქროს ზოდივით,
წავლენ, დამრჩება ოცნებად
სხვა გაზაფხულთა ლოდინით.

ღამის მირაჟი

გადაიწვინეს მკლავებზე მთვარე,
მშვიდად გასცურეს ცაზე ღრუბლებმა,
შენ გამოგზავნე მაისის ღამე?!
ძველ სიყვარულზე მესაუბრება.

ჩემი ჰობი პოეზიაა

დგას ყორნისფერი ღამე ღამეში,
თითქოს სიჩუმე უსმენს სიჩუმეს,
მერე დუმილი მწუხრის კამერში
ვარდის ხავერდში ამოისუნთქებს.
აღარ მასვენებს ბულბულთა ყეფა,
დაღლილ თვალებსაც წაგვარეს რული,
შენი სახელი ამ გულთან ფეთქავს,
დაბრუნებულა კვლავ სიყვარული.
და ყოველივეს ეხდება ფარდა,
როცა იჭრება დილის რიჟრაჟი,
ღამის, მთვარის და ბულბულთა გარდა
სხვა ყოველივე არის მირაჟი.

„რატომ არ მოველ წვიმადა...“

შენი ქულა ღრუბელი მშლის,
შენი ზეცის სიკამკამე.
ისე ძლიერ მიყვარხარ, რომ
შიშით გული მიკანკალებს.

ნეტავ, წვიმად მოვსულიყავ,
გულისგულში ჩაგწვდომოდი,
მერე წყაროდ ამომსკდარი
შენს ხევხუვებს გავყოლოდი.

მელიკლიკა, მეჩუხჩუხა,
ნაკადულის ტკბილი ჰანგით,
კვლავ შეგესვა ჩემი ჩქერი
როგორც მათრობელა ბანგი.

მზე თუ ცაში წამიყვანდა,
ღრუბლად ვიქცეოდი იმწამს,
რომ კვლავ წვიმით დამენამა
ჩემი საქართველოს მიწა.

ნანი გაჩეჩილაძე

ხაშურის სამუსიკო სკოლის მასწავლებელი, სატელევიზიო გადაცემის „დიადემის“ წამყვანი და რეჟისორი, გამოცემული აქვს ლექსების კრებული

დამილოცეთ საქართველო

დამილოცეთ მთა და ბარი,
დამილოცეთ მზე და მთვარე,
დამილოცეთ ბაღ-ვენახი,
დამილოცეთ მტერ-მოყვარე.
დამილოცეთ სამაჩაბლო,
დამილოცეთ ხევსურეთი,
დამილოცეთ იმერეთი -
დამილოცეთ დედულეთი.
დამილოცეთ აფხაზეთი,
ქართლ-კახეთი დამილოცეთ,
ვარძია და უფლისციხე,
ბეთანია დამილოცეთ.
მეტეხი და ანანური,
ალავერდი და სიონი,
ჩემი მტკვარი, ჩემი ქსანი,
ალაზანი და რიონი.
დამწერლობა დამილოცეთ,
რომ ცოცხლობს და კვლავ ხმიანებს,

ჩემი ჰობი პოეზიაა

ანა-ბანას ყველა ბგერა
უნაზესად დამიკოცნეთ...
დამილოცეთ სპა-ლაშქარი,
მეომრები თოროსანნი,
დამილოცეთ დედა ენა,
შოთას „ვეფხისტყაოსანი“.
დამილოცეთ „ჩაკრულო“ და
„იავნანას“ ნაზი ჰანგი,
„სამაია“ დამილოცეთ,
ააჟღერეთ გზნებით ჩანგი.
მზის სადარი ქალწულები,
რაინდები სანაქებო,
ყველამ ერთად, სავსე თასით
დამილოცეთ საქართველო!

მოიზომე გაზაფხული ტანზე

აპრილია, აყვავილდა ნუში,
გადაპენტა მთა-ბარი თუ დაბა,
მოიზომე გაზაფხული ტანზე
შეიკერე მოჩითული კაბა.
გაზაფხული მაცდურივით გიხმობს,
ქალი ხარ და როგორ გაძლებ მარტო?
გული ახალ მელოდიას მღერის,
საგულედან ამოვარდნას ლამობს.
რაღას უცდი, გულს გაუღე კარი,
გაახარე გულში ია-ია,
ფრთოსანივით ცად აფრინდი უფრთოდ,
აიტეხე სულში „რია-რია“
ვარდობისთვეც მალე გესტუმრება
ვარდფურცლებით სამოსს მოგიქარგავს,
გულის სწორი უსტარს გამოგზავნის,
პაემანზე გელოდება, ქალავ!

გიხმობს მამული!

დემეტრევ, გესმის? - გიხმობს მამული.
შენი არაგვი, შენი რიონი,
შენი რუსთველი, ვაჟა, ილია,
ლექსის გენია - გალაკტიონი.
გიხმობს , გეძახის, გავალებს, გმოძღვრავს,
დაიცვა მათი ძვალთშესალაგი,
რომ ვერ ბედავდეს მის აოხრებას
გადამთიელი მტერი ვერაგი.
„უფლისციხე“ და „ვარძია“ გიხმობს
ღვთიური ფრესკა გიხმობს თამარის...
სვეტიცხოველში ზარი გუგუნებს,
წარსულ დროების იწყებს ღაღადისს...
მიაყურადე, გიამბობს, უტას
როგორ მოკვეთეს უღმრთოდ მარჯვენა,
მემატიანეს ჩაუწერია,
სინამდვილეა, არა ზმანება.
დრომ ყველა ტკივილს როგორ გაუძლო,
ცუდიც და კარგიც ჩაწერილია,
შენი დრო დადგა, არ ჩაიმუხლო,
ძველიც, ახალიც მისახედია.
„პარხალი“, „ბანა“, „ოშკი“, „ხახული“,
სანამ ნანგრევად გადიქცევიან,
სვეტად დაუდექ, დრო აღარ ითმენს,
სულის შებერვით ჩაიშლებიან.
მიხედე „ზარზმას“, „ჯვარსა“ და „სიონს“,
„სამების“ მადლი ყველგან გფარავდეს,
მიხედე მიწას, გასწიე იგი
„ნიკოპსიიდან დარუბანდამდე“.
ხედავ, დემეტრევ, რის პატრონი ხარ,
განძი, სიმდიდრე, რაც გაბადია,
სამშობლოს ბედი, მისი სიცოცხლე
შენს თაობას და შენ გაბარია!

კლარა გელაშვილი - კვინიკაძისა

დაიბადა 1964 წლის 27 სექტემბერს, ახალციხის რაიონის სოფელ საყუნეთში. ათი წლისა იყო, ნისლისფერი მუზა რომ ეწვია...პროფესიით ფილოლოგი, მოწოდებით პოეტი, სულით მეამბოხე. ცხოვრობს ქვიშხეთში. დიმიტრი ყიფიანის
სახლ-მუზეუმის ფონდების მცველი. გამოცემული აქვს ერთი პოეტური კრებული. ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და ერთი შვილიშვილი

ყოფილი.....

„ყოფილი სატრფო, ყოფილი დედა...“
ბელა შალვაშვილი

თუ როსმე გავხდი ყოფილი ქალი,
თვალს სხივი ჩაცხრა, გულში კი თრთოლვა,
ვინ შეაჩერა ლამაზი წამი?!-
ხსოვნით მოგქარგავ, რაც უკვე მქონდა!
თუ როსმე გავხდი ყოფილი ცოლი,
ცხოვრების კიდეს შემოვრჩი მარტო,
მე არ ვიქნები ამგვარი ერთი,
უფალს საყვედურს შევკადრებ, რატო?
დე, გავხდე ქალი, დე, გავხდე ცოლი -
უარყოფილის ცრემლით რომ დნება,
ცხოვრებას ჩემსას ერთი აქვს აზრი -
არ მინდა, მერქვას ყოფილი დედა!

***
სადაურობას
მკითხავდა ერთი...
(ჯერ საქართველოს
მზეს დავიფიცებ)
მახსოვს, მესხეთში

ჩემი ჰობი პოეზიაა

ღიღილოს ვკრეფდი,
მერე ქვიშხეთში
გ ა მ ო ვ ი ღ ვ ი ძ ე.

ფერეიდანული ელეგია

ასე ნუ მიმზერ, მეგობარო,
შენი ჯიშის ვარ,
დრომ თავს რომ ჩალმა მომახვია,
მე ის ბიჭი ვარ....
ირანის ქვიშამ დამიხრუკა
ფეხის გულები,
ალბათ, ამიტომ, მაგ მიწაზე
ვეღარ ვბრუნდები.
ვიცი, არ შეცვლის ეს ყრუ გმინვა
ახლა არაფერს,
მზე გაცრეცილა, ღრუბლიანში
ვაღებ დარაბებს.
რწმენა ვიცვალე, სხვა არ იყო
გზა და საშველი,
მაგრამ იცოდე, მაინც მქვია
ბიჭო, ქართველი!
იქნებ , გგონია, სპარსული მაქვს
ზნე და ჩვევები?!
ქალს არც მათ ვაძლევთ,
არც იმათსას არ ვეჩემებით...
არ გაიკარეს, ვერ იგუეს
ჩადრი სახეზე,
საქართველოსკენ წამომსვლელ გზებს
ისევ დავეძებთ...
კვდება იმედი, მიწის ყივილს
ვისმენთ შორიდან,
ახლა მაგ ცის ქვეშ
სიკვდილიც კი შვებად მომინდა!
ფერეიდანში სოფლებს ვარქმევთ
ქართულ სახელებს,
მე ეს მარტყოფი
ჩემი მიწის სურნელს მახსენებს!
ვით სამშობლოში დაბრუნება

ჩემი ჰობი პოეზიაა

სხვებს არ ეღირსათ,
ფერეიდანი საფლავია
ჩემი ბედისაც!
 აქ, სიზმარშიც კი ნეტარებას
 ზღუდავს საზღვრები,
აკაკის ფირუზ ცას გვახარბებს
მთები ყაზბეგის...
ასე ნუ მიმზერ, მეგობარო,
შენი ჯიშის ვარ,
დრომ თავს რომ ჩალმა მომახვია,
მე ის ბიჭი ვარ....

ეჭვშეუტანელი სიყვარული

უდროოდ მოვიდა მწუხარება,
ფრთებზე წამეკიდა ცეცხლი.
თუმცა გვიანია სინანული,
რადგან ვეღარაფერს შევცვლი.
მაშინ შევიგრძენი დედამიწა,
თავზე რომ დამექცა ბუდე,
ვეღარ შემიფარა ცრემლიანი
დედის გათოშილმა უბემ...
შვილის შიშჩამდგარი თვალებისთვის

დღეს ცრემლის დამალვა შევძელ,
ეჭვშეუტანელი სიყვარულის
 მადლი დავკარგე და , ვეძებ!...

მხოლოდ ქართულად...

გადამითარგმნეთ, ცხელი გული გადამითარგმნეთ,
ატატებული გრძნობა თარგმნოთ იქნებ ჩინურად,
გადამითარგმნეთ უნაზესი სულის სიმძაფრე
ან ქართული ცის ცისარტყელა თარგმნეთ ფინურად.
გადამითარგმნეთ, გთხოვთ, მთაწმინდა გადამითარგმნეთ,
გადამითარგმნეთ, ბერმუხა და ცეცხლის ღადარი,
გადამითარგმნეთ უფლისციხე, მერე ვარძია,
უცხო პალიტრით მიმოხატეთ ფრესკა თამარის.

ჩემი ჰობი პოეზიაა

გადამითარგმნეთ დიდოსტატის დიდი მარჯვენა,
სვეტიცხოველში ცხელი გულის თარგმნეთ საფლავი,
გადამითარგმნეთ, როგორ იცავს მიწას მადლიანს
გალაკტიონის იისფერი თოვლის საბანი.
გადამითარგმნეთ, სიყვარული გადამითარგმნეთ,
გადამითარგმნეთ „გენაცვალე“, თუნდაც „გეთაყვა“,
დედაენაში აკინძული ჩვენი ფოლკლორი,
მითებითა და ლეგენდებით სავსე ქვეყანა!
გადამითარგმნეთ, ქარაფები გადამითარგმნეთ,
მერე მათთვისაც გამოძებნოთ ახსნა, ეგების -
თუ რად წამოსცდა მოყმის დედას სიტყვა სამძიმრად
დაე, იცოდნენ: სისხლით სისხლს რომ არ მიეგების.!..
გადამითარგმნეთ, უფლის მადლი გადამითარგმნეთ,
ტატოს „მერანი“ - ნახე, როგორ მიჰქრის ზღაპრულად,
გადამითარგმნეთ, საქართველო გადამითარგმნეთ,
ვით ათრთოლდები, თუ არ ითქვა იგი ქართულად?!
გადამითარგმნეთ, მწუხრის ჟამი გადამითარგმნეთ,
ღმერთო, თარგმნილი ჩემი გრძნობა როგორ გაკადროთ?!
რა ვქნა, მიყვარხართ თუკი მხოლოდ, მხოლოდ ქართულად
ამ ცისქვეშეთში ჩემი მიწა რომ არ დავკარგო!

ჟამთა სიავე

ჟამთა სიავემ მერამდენე მსხვერპლად გაქცია,
უცხო გზის გავლით უნდა ჰპოვო შენი სავანე,
ცივი გონება ფუჭი ფიქრით დაგიქანცია,
უფრთოდ შთენილო, ქარიშხალი რაღას წაგართმევს?!

ვიცი, დასმია არსებობას კითხვის ნიშანი,
საგნადქცეული სული სხეულს ისე გაჰყრია,
თითქოს არასდროს არ გქონია რამე მიზანი,
თითქოს სიცოცხლე ერთი ჭიქა ღვინის ფასია!

ჰოი, მერანო, შეგიღებავს შავად ფაფარი,
დაუჭედავი ტერფი უცხო მიწას ატყვია,
თავს ნუ იტყუებ, დღეს საშველი არსად არ არის,
მშობელი მიწა საოცარი ანდამატია!



გივი გელაშვილი

დაიბადა 1939 წლის 16 სექტემბერს ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთში. პროფესიით ისტორიკოსი. ლექსების წერა 1970-იანი წლებიდან დაიწყო. გამოცემული აქვს ორი პოეტური კრებული. მუშაობს დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში.

ცხენი

თავისუფლებას
და ლაღად ნავარდს
დრო ულმობელი
ქამანდით სდევდა,
ბედს შერიგებულს
თვალებში უკრთის
თვალუწვდენელი
ტრამალის სევდა.

სახლი

რა საშინელი
სანახავია
დაშლილი სახლი -
კერაჩამქრალი,
ჩემი სამშობლოს
და ჩემი ხალხის
მარადი სევდა
და ცრემლის კვალი.

ნოტი სიყვარულისა

რითაც მოვედი,
ვიცხოვრე დღემდე
და ვისაც ვუნთე
ლოცვით სანთელი,
ის გულის სითბო
ვინატრე ბევრჯერ,
ღმერთო, რამდენი
დამრჩა სათქმელი!
როგორ მარტო ვარ, -
ვჩურჩულებ ჩემთვის,
სად გაიყარა
ნეტავ ის გზები?!
რა უიმედოდ,
რა გულის ფეთქვით
ვწერე რამდენი
შენზე - ლექსები!

დედას

საწოლის თავთან დევს ყავარჯნები...
ძილში შფოთავ და ჩუმად კვნესი,
დაწყევლილ ბედის ტიალ ჯამიდან
ყველა სიმწარე და შხამი შესვი.
სარკმლიდან უმზერ ქვეყანას და მზეს,
რისთვის გსჯის ღმერთი, ო, რაღა მწამდეს?!
არ ვიცი, დედა, რად გერგო ეს გზა,
უფალზე მლოცველს და და მართალს ცამდე!
რით განუგეშო, რით, შენ შემყურემ?!
სულ წვალებაში, შრომაში დადნი,
როგორ აკლია ამ ეზო-ყურეს
შენი ხელების სითბო და მადლი.
ვნატრობ ბავშვობის იმ ნეტარ წამებს,
როს არ მაკრთობდა ჟამის უკუნი
და ყავარჯნების, სულში წამებად,
მონოტონური ნელი კაკუნი.
ნეტავი ის დრო დაბრუნდებოდეს,

ტკბილად რომ ვთვლემდი შენს ნაჯაფ ხელზე,
შენ მყავხარ მხოლოდ იმედად, დედა,
ამ უზარმაზარ სამყაროს ველზე!

ეჰ, დრო მოვიდა

ეჰ, დრო მოვიდა
სადაც, ლაჩრობას
და ფასი ადევს
ღრეჭვა-მასხრობას,

ბრძენს, ჭკვიანს, სწავლულს
ფასი აღარ აქვს,
ბოლო არ უჩანს
ტაკიმასხრობას.

ტაძარში

კრთიან ლანდები
სანთლების ალზე,
ლოცვაა ჯვარცმა -
ცოდვილთ მისია.
შენდობას ითხოვს
ყველა, უფალო,
მხოლოდ შენ უწყი,-
ვინ რის ღირსია.

მამას

მძინარს მიუხტა გამთენიისას,
ვინ რას გაუგებს ბედის თამაშებს?
ნაქეიფარზე უთხრა შამათი, -
ასე მოუგო ბედმა მამაჩემს.

***

დამუნჯებულან,
დაყრუებულან,
აკრძალულია
ახლა რამის თქმა;
ქვა-ღორღს აყრიან,
ვისაც აწუხებს
სამშობლოს ბედი,
მისი გულისთქმა.

***

რაც დამაბადა
ზენამ,
(საით წაუხვალ წილხვედრს)
მინდა, ამ ტიალ
გზებზე
სიკეთის ფასსაც
მივხვდე.
ავს ავიც ყოფნის
სასჯელად,
ეყოფათ დარდად
ცოცხლებს,
ღმერთო,
მაცხოვრე ისე, რომ
სიცოცხლე
მიხაროდეს.

სამშობლო

სამშობლოვ,
სულ ვეფერები
შენს ტკივილებს
და იარებს.
ამ ტიალ დროში
მე და შენ
რა თარსი
გზებით ვიარეთ.
ვიარეთ,

ჩემი ჰობი პოეზიაა

ვერსად ვიპოვეთ
ამ მიწის
ერთგული შვილი,
ვერ ვნახეთ
ჩვენდა პატრონად
ერთ კარგი
მამულიშვილი.

წლები ჯოჯოხეთის

გადაგვიკეტეს
ყველა ბილიკი.
გლოვისფერია
ჩემი მამული...
გზებზე პატრული
ავტომატებით...
განწირული ვართ,
მიტოვებულნი.
კარს მოგვდგომია
მტერი სატანა,
ვინ შეგვაჩეჩა
ეს დამთხვეული,
ვარდით მოვიდა,
ეკალი შეგვრჩა,
ჯოჯოხეთში ვართ
გამომწყვდეული.

ჯვარი მოგლიჯეს

ხაშურის გზაგასაყარზე აღმართული
ჯვარი ვიღაც მაღალი მოხელის ბრძანებით
ღამით მალულად მოგლიჯეს.

ჯვარი მოგლიჯეს
ქრისტეს ქვეყნიდან -
ჯვარი რწმენის და
ჯვარი უფლისა.
ვიღას შევჩივლოთ
ჩვენი ვარამი,
შვილებს ურჯულოდ

ჩემი ჰობი პოეზიაა

როცა ნათლავენ,
როცა ბილწავენ ველურ ხარხარით
მამა-პაპათა ნაფიც საფლავებს.

ჰარმონია

ვიწრო ოთახში
სუფრას ვუსხედით,
თამადად გვყავდა
უცვლელი ბოსი,
ისმოდა ტკბილი
მუსიკის ჰანგი,
ხმა ჯადოსნური
ვიოლინოსი..
თავი დაგედო
მეგობრის მხარზე
ო, თითქოს გქონდა
სევდა რამ, დარდი,
გიცქერდი მალვით
და სიყვარულით,
რა კარგი იყავ,
ღმერთო, რა კარგი!

ჩემო მამულო

იავარქმნილო მამულო,
ჩემო კვნესავ და
ტკივილო,
დაჭრილო ჩვენგან უწყალოდ
და ჩვენგან
სიკვდილმისჯილო.
შენი მტრები და მკვლელები
დაძრწიან, დაბოგინობენ,
ეს გველი სისხლისმსმელები
წყალგაღმა დაქოწინობენ...
იავარქმნილო
მამულო, როგორ გაქრი და
გასხვისდი,

ჩემი ჰობი პოეზიაა

როგორ გღრღნიან და
 გსანსლავენ,
გულო, გასკდი და
გასივდი.

ქვიშხეთი



თევდორე გოგოლაძე

დაიბადა 1992 წლის 8 აგვისტოს, ქ. ხაშურში. 1998 წელს შევიდა ხაშურის პირველ საჯარო სკოლაში. 2004 წელს ოჯახი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად.
2010 წელს წარჩინებით დაამთავრა ინგლისურენოვანი კოლეჯი „ნინო“ .
იმავე წელს ჩაირიცხა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ უნივერსიტეტში კინო-საოპერატორო ფაკულტეტზე.
ბავშვობიდან წერს ლექსებს.

გიოს

ჩვენ დავიტიეთ მთელი სამყარო,
ერთად ვლეწავდით კერპებს,
ამდენი დარდი სად გადავყარო,
ან სად გავექცე დღეებს?!

იყო ბავშვობა, პირველი თოვლი,
მაგრამ მალევე დაიწყო დნობა,
ერთად გავლილი წუთები ბროლის
და სიყვარულით დილამდე თრობა.

შენ მოგელიან დიდი ხნის ძმები
და საუკუნე იცლება თითქოს.
იკარგებიან ნისლებში გზები,
მე მათ ვუტოვებ გაცვეთილ სტრიქონს.!

რამდენ ომსა და ბრძოლას ვუძლებდით,
მაგრამ რამდენი დავტოვეთ უკან,

ჩემი ჰობი პოეზიაა

როგორც არასდროს, ისე ვბრუნდებით -
ყოველი წამი ვაფასოთ უნდა.

ის ოცნებები, უსაზღვრო, ვრცელი
ამოავსებენ იმ ძველ იარებს.
ცხოვრება - როგორც ზღვაშია წვეთი,
ჩვენსკენაც მალე გამოიდარებს.

***

მისაუბრია მე ხშირად ღმერთთან,
ხანაც არასწორ გზებით მივლია,
შენ თუ მიხვდები, დარჩები ჩემთან -
ბედნიერება ამოხსნილია.

***

ოცნებას დავხატავ ტილოზე,
მოგიძღვნი უხილავ სამყაროს,
შენ ჩემი ტკივილი გიწოდე,
არ მინდა, ფიქრებმა დაგკარგონ,
ვეწვიე სიცივის სამეფოს...
გეძახი... შენამდე შორია....
და გზები, დაღლილი ბავშვივით,
წარსულის კვალდაკვალ მოდიან.
***

შემოაბერდა ხეებს ფოთლები,
ისევ ვზივარ და ისევ ვღონდები...
ცაზე იწვიან ჩუმად ღრუბლები,
თითქოს მივდივარ... თითქოს ვბრუნდები...

***

დღე გაირინდა ჩვილის აკვანში
და უცნაური ჩამოწვა სევდა,
ეს სიყმაწვილე, ბურთის თამაში,
მხოლოდ ღამეულ სიზმრებში ჩნდება...
რაც ავაშენე, დარჩა ნამტვრევი
იმ იდუმალი კოშკების ნაცვლად,
ჩემს გულს ლოდებად ადევს თვრამეტი,

ჩემი ჰობი პოეზიაა

ამდენი ხანი რომ მსჯიდა მკაცრად.
გაშლილ მდელოზე შევნიშნე მუხა,
მინდოდა, მის ქვეშ შევფარებოდი,

მაგრამ მაშინაც სიკვდილი ქუხდა...
რა იქნებოდა, რომ გყვარებოდი?!
ახლა კი მხოლოდ დამრჩა ლექსებად
მონატრება და ტკივილი დიდი,
სხვა როცა სხვისგან ელოდა კარნახს,
ვიჯექი მარტო და ჩემს ბედს ვთლიდი.

თქვენ, ქალბატონო!

დამცინეთ, ქალბატონო, დამცინეთ
თქვენი სიყვარულის გამო,
გამკიცხეთ, სამუდამოდ გამკიცხეთ,
მაინც თავზე მეტად გყვარობთ...
თქვენ ხართ, ქალბატონო, ჩემი,
ჩემი იმედი და ვნება,
თითქოს ახირებად რჩებით,
თითქოს აუხდენელ მცნებად.
წამში შემაყვარეთ თავი,
წამში ამირიეთ თავგზა,
თქვენი მოტრფიალე გავხდი,
თქვენი სიყვარული მწვავდა.
ძლიერ მივეძალე სასმელს,
დროსთან საუკუნეს ვიყოფ...
და თუ არ იქნებით ჩემი,
მინდა ბედნიერი იყოთ.

... ჩემო...

ჩემო დაკარგულო რწმენავ,
ჩემო დაკარგულო ღმერთო,
ჩემო იმედების წყებავ,
ჩემო სიცოცხლეზე მეტო..

ჩემი ჰობი პოეზიაა

ჩემო ფიქრებო და ტანჯვავ,
ჩემო ოცნებაო, ერთო,
შენთვის ავიტანე ჯვარცმა,
მზად ვარ, კვლავ კელაპრტად გენთო.
როგორ გადავურჩე, ვფიქრობ,

ზღვაში ლომად ქცეულ ტალღებს,
როცა შეფეთქება თითო
ბოლო იმედებსაც ანგრევს.
ჩემო ზამთარო და ყინვავ,
ვისთვის ცხელ ზაფხულში ჩერო,
ქვეყნად ყველაფერზე წმინდავ,
ჩემო ერთადერთო, ჩემო!..

წრომი



ეთერ გონგლაძე-ცხოვრებაშვილი

დაიბადა ქ. ხაშურში. 1982წელს დაამთავრა თბილისის მეორე სამედიცინო სასწავლებელი „ბებია ქალის“ სპეციალობით.
ამჟამად დიასახლისია. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

მუხამბაზი

ნეტავ მართლა ჩუმად მყავდე
არა სხვისა ზიარად,
შენი სუნთქვა მახელებდეს
სხვისი სულთქმა კი არა.
შენს ბაგეთა სითბოს ვგრძნობდე
სხვის ბაგეთა კი არა,
სიყვარულის ცეცხლი მწვავდეს
ჯოჯოხეთის კი არა .
შენი მზერა მესალბუნოს
არა სიო დილისა,
როგორ მინდა მერქვას შენი
„პაწაწინა თილისმა“.
გულში სხივად ჩაგისახლდე,
სიყვარულის შარბათს ვსვამდე,
ნეტავ მართლა შენთან ვიყო,
ნეტავ მართლა ჩუმად მყავდე.

* * *

ცაჩამოქცეულ ცივ ღამეს
დასველებოდა პერანგი,
შენზე ფიქრები მართობდა
არა შმაგი და ვერაგი.

ჩემი ჰობი პოეზიაა

თვალს რული დავიწყებოდა,
სულში სანძარი ენთო,
გული ერთს იმეორებდა,
-რა ვქნა, მიყვარხარ, ერთო.

ჩვენი არჩევანი

შენ ჩემო ათასნაირო
ღამის ფიქრო და სიზმარო
წვეთ-წვეთად მასმევ ცივ ბადაგს
რა გზა მაქვს?! - უნდა ვიკმარო.
ვიარებოდი, გეძებდი,
გნახე და ვერა გითხარო,
მე „არადანი“ ვირჩიე
შენ? - არჩევანში“ - ვის ხარო?
დედას გაფიცებ ნუ მომკლავ
ვიდრე ცოცხალ ვარ, - მითხარო.
შენი არსობა ჩემს ყოფას შვენის
შენი ვარ ჩემო, შენი ვარ, შენი!!

მეც!

ცოტაც და გაიზაფხულებს
გულს მოიბრუნებს მზეც.
ეს სუსხიც დაგვავიწყდება
ყველას, მათ შორის მეც.
 მემახსოვრება უდავოდ
ყველგან , ღამეც და დღეც,
როგორი ცეცხლით მათბობდა
სიტყვა - მიყვარხარ! - მეც!

ვაგლახ, რომ შენთან არა ვარ

შენს გვერდით ყოფნა შემეძლოს?!
მოგიკლავ დარდის ჭიასა,
სულ ბაიათებს გიმღერდი,
გულს მოგართმევდი ღიასა.

ჩემი ჰობი პოეზიაა

მზესავით ვაცისკროვნებდი
ღამეს სევდიანს, ცვრიანსა,
შეგიშრობ დანამულ თვალებს
დარდს გავატანდი ნიავდა.
ცივ ზამთარს გიზაფხულებდი,
თავს განაცვლიდი ტიალსა.
არ მოგისვენებ ვიდრემდის
არ გნახავ ბაგემზიანსა.
მაგრამ, ვაგლახ, რომ უშენოდ
გული კვნესს წიავ-წიავსა...
დღენი უკითხავ მიფრენენ,
ვერ ვკავობ ოხერტიალსა.

ლილი გრიგალაშვილი

დაიბადა 1961 წელს ქვიშხეთში. პროფესიით ეკონომისტი. ამჟამად დიასახლისი. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

მონატრება

ნეტავი, ასე რატომ მენატრება
ჩემი ბავშვობის წლები,
ჩემი ქვიშხეთი, ჩემი მთაწმინდა
ჩემი ოცნების მთები...
მინდა, მოვეფერო მიწას და ბალახს,
პურის თავთავების კალოს,
ბავშვივით მოვირბინო ეზო-კარმიდამო,
ჩიტის ბუდეები ვთვალო.
დედა მენატრება, დედა მილეული,
მაინც დედაბოძად მდგარი,
მუდამ მოფუსფუსე, ღამეგათეული,
ცხელი თონე და ძარი.
პურებს მოჩენილი ჩვენი ეზოს ძაღლი,
ყელყელა სურაში წყაროს ცივი წყალი,
ჩემი კბილა გოგო - თეთრი მეგობარი
კალთა აწეული სავსე მწიფე მსხალით...
ზღაპარ-იყო, - ისე მომენატრა,
ჩემი ორღობე და ჩიხი .
ჩემი მეგობრები უნდა ვინახულო
უნდა მოვირბინო ლიხი...

უნდა ჩავიბნიო თეთრი ენძელები
ბავშვურად აწეწილ თმებში,
ნიავს ავედევნო, პეპლებს მოვეფერო,
მზის სხივს ვეთამაშო სხვენში.
უნდა შევაგროვო ასკილი და
ლურჯად შეთვალული კვრინჩხი,
თორემ გამაგიჟებს მონატრება...

ჩემი ჰობი პოეზიაა

თორემ გამიჩნდება შიში.
            წლები გასულა, დროს გაჰყოლია,
ვქარგავ სევდაში ბედნიერ ღიმილს,
ჩემი ბავშვობა ისევ მეძახის....
ისევ ცხელია მზე გაზაფხულის.

ძახილი

აღარ -
იგი მონატრება,
აღარ -
იგი შეხვედრები,
ზამთრის სუსხი დათარეშობს,
წლებს გადაჰყვა შარბათები...
თუ კვლავ მოვა გაზაფხული,
აპრილი და ყვავილები,
ქედს მოვიხრი ბედმორჩილი,
კიდევ ერთხელ ავინთები.
შენს მოძახილს გამოვყვები,
წლებს ჩავმარცვლავ ჭრელი ფერით,
მერე თუნდაც მექცეს ცოდვად,
გამოგყვები ზარის რეკვით...
ცეცხლმოდებულ გულს მოგართმევ,

კვლავ ფერხულში ჩავებმები,
ვითამაშებ ცოდვილ ევას
და შენს წილ მზედ გავბრწყინდები.

ბეღურა

ზამთარში, თოვა-ქარბუქში
ჩიტი მოაწყდა მინას
და ნისკარტს აკაკუნებდა -
შემომიშვითო შინა...
მე ვარო შენი ერთგული,
შენთან შემოსვლა მინდა,
დამაპურე და გამათბე,

სხვა მეტი არა მინდა.
გულწითელა და უმწეო
ფრთებს სასაცილოდ შლიდა
და მარტოობის სუსხში
თბილ იდილიას ქმნიდა.
მევედრებოდა შემოსვლას,
თან სიცივისგან თრთოდა,
-შემომიშვიო შენთან,
რა მოხდებაო, - მთხოვდა.

პაპაჩემი

მე ერთი პაპა მყავდა,
იყო უბრალო, ქველი,
გულის კარს ფართოდ აღებდა ,
ღიმილი ჰქონდა წრფელი.
იყო გულუხვი, მართალი,
მოქეიფე და მთქმელი,
უყვარდა კარგი მოლხენა,
„ხელის დაბანა ხელით“.
სისხლში გამჯდარი ჰქონდა
ნედლი სურნელი მიწის,
ნიშა ხარივით გამწევი,
მისი ერთგული ჯიშის.
ეხერხებოდა ღონივრად
გუთნით გაყვანა კვალის -
ოფლით გაპოხილ მიწაზე
თესვა კეთილი მარცვლის.
სულაც არ იყო ხარივით
თვინიერი და მშვიდი,
მტერს მტრულად შეებმებოდა
არ ექცეოდა რიდით.
არ დაუთმობდა ერთ გოჯს,
მიწას გაჟღენთილს სისხლით,
„ახლა შენ ხარო პატრონი“ –
მე დამაფიცა ფიცით.

მანანა დანგაძე
დაიბადა ხაშურში 1950 წლის 2 მაისს. მუსიკოსი. წერს 12 წლის ასაკიდან. ვაჟა აზარაშვილთან შეუღლებამ გამოიწვია მისი შემოქმედებთი პაუზა., რადგან თვლიდა, ერთერთს უნდა ეწერა.
შვილიშვილის გაჩენამ ისევ აამეტყველა...გამოსცა ერთი პოეტური კრებული „სევდის ანარეკლი“.
მწერალთა კავშირის წევრი. ასევე ფაზისის საერო აკადემიისა და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი აკადემიის წევრი. მიღებული აქვს ჯილდო კონკურსში „წლის საუკეთესო ლექსი“. ჰყავს მეუღლე, ერთი ქალიშვილი და ორი შვილიშვილი.

ოღონდაც...

არ მინდა ბრენდი, ვისკი, ჯინ-ტონიკი,
ვერც რომი და ტეკილა გავიტოლე -
ვენახი მანავით და ოჯალეშით,
უფალო, გევედრები - დამიტოვე!
არ მინდა ფურშეტი და პიკნიკ-ფართი .
ვერც შოუ, შოუმენი გავიტოლე,
თამადა მჭერმეტყველი ქრისტეს სისხლით,
უფალო, არ მომაკლო - დამიტოვე!
არ მინდა ჯიშად გადაგვარებული,
სხვის ბაგას შეფარებულს ვერ ვიტომებ,
უფალო, დამილოცე ბიბლია და
მაცხოვრის სახარება დამიტოვე!
არ მინდა ურჯულოთა კანონები,
იუდა ქრისტეს მოსვლით გამიოცე,
მამაო, გამიხარე სიცოცხლის ხე,
ლაზარეს ამაღლება დამილოცე...
მავანი ეკლესიას მედავება,

ჩემი ჰობი პოეზიაა

მავანი მიწის გოჯსაც არ მიტოვებს,
უფალო, ყველა ცოდვას ვაღიარებ,
ოღონდაც საქართველო დამიტოვე!

ჩემო ქართულო მიწავ

კავო, სახნისო, გუთანო,
ჩემო ქართულო მიწავ
„ღირღიტავ ბანი უთხარო“...
შენს დიდ ილიას ვფიცავ!
გეყმო და გაგეგუთანო,
შენი ერთგული მიცან,
მერე კი არ დაინანო
ერთი მტკაველი მიწა.
ოშკო, სიონო, ხახულო,
მტკვარო, რიონო, რიწავ,
მარანო, ღვინოვ კახურო,
მამულო, ტკბილო ფიჭავ,
შნს სადღეგრძელოდ ავენთე,
შენთვის დამწვარი მიცან,
მერე კი არ დაინანო
ერთი მტკაველი მიწა.

* * *

რამდენჯერ შეიძლება ცეცხლად აენთო,
რამდენჯერ შეიძლება მოკვდე...
ჯოხი სულ, სულ მაღლა ასწიე , მაესტრო,
და ორკესტრს მიანიშნე „ფორტე“.
ჰიმნი მიუძღვენი დამსხვრეულ სიყვარულს,
დაფდაფებს არ დაეტყოთ დაღლა,
არც ერთი „პიანო“ - ხმაური, ხმაური,
აღმა სვლა, სულ მაღლა და მაღლა...
მერე წამიერად გაჩერდეს ორკესტრი,
თითქოს სიყვარული ვარსკვლავებს მოსწყდა,
თითქოს დაენარცხა მიწაზე კომეტა,
აფეთქდა, დაიმსხვრა და ... მორჩა...

ჩემი ჰობი პოეზიაა

მერე დაუკარით მშვიდად რეკვიემი,
გუნდმა იგალობოს ლოცვა,
სიცოცხლე გრძელდება, - ამბობს ანგელოზი
და მაინც... ყველაფერი მორჩა.

* * *

ქარს დაემალე
კაბას დაგიხევს,
მინდვრად მოსულო
მორცხვო ყაყაჩოვ,
მეც მომარიდე
ეგ სილამაზე,
თორემ მოვალ და
კოცნით დაგახრჩობ.

მაინც მოვა ...

მაინც მოვა გაზაფხული,
ჩამოდნება ყინული,
გადაიყრის ზეცა ღრუბელს
სევდით შემოზვინულით.
აყვავდება ყოჩივარდა ,
ისევ მოვა მაისი,
შემომახვევს ფიქრებს დადრად,
ჩვეულ სიდარბაისლით.
მაინც მოვა გაზაფხული,
მოვა , მაგრამ უშენოდ...
სევდასა და ამ კაეშანს
რაღაც უნდა ვუშველო...

შოთა დარბუაშვილი

დაიბადა 1955 წლის 8 მაისს, ცხინვალში. დაამთავრა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ისტორია-ფილოლოგიის განხრით. კონფლიქტამდე მუშაობდა ცნობილ ანსამბლ „ბონვარონში“. იყო ამ ჯგუფის ერთერთი დამაარსებელი(1971) და მისი სამხატვრო ხელმძღვანელი1988-90წლებში. ეწეოდა აქტიურ ჟურნალისტურ მოღვაწეობას . სხვადასხვა წლებში მუშაობდა : „ლიტერატურული ცხინვალის“, „შიდა ქართლის“ სპეცკორესპონდენტად ცხინვალის და თბილისის ზონაში. გამოცემული აქვს ხუთი პოეტური კრებული. არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. ამჟამად ცხოვრობს ქვიშხეთში. მუშაობს დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში.

***

ჭმუნვით, გალობით, რიდით
ისევ ავაგე ხიდი.
გაღმა გადასვლა მინდა,
გული კი არსად მიდის.
ახალი დღიდან ხვალის
შემოქმედების ტვირთი
მხარზე ხურჯინად მადგა,
შიგ კი ვერაფერს ვყრიდი...
გეყო ამდენი ფიქრი,
მოგონილია სცენა...
ეს პოეტური სული
პროზის ციხეში კვდება.

ქართვლის ცრემლი

ახალწლის დილას,
იანვრის დამდეგს
თენდება, თოვლში
ქალაქი მოჩანს,
ბედყოფნას ჩვენსას

ჩემი ჰობი პოეზიაა

ვიღაც განაგებს,
თეთრ სინათლეში
ვიღაცა გვლოცავს...
მაგრამ დღე გვიდგას
ღამეზე შავი,
ვგრძნობ, საუკუნის
ცოდვები მტანჯავს
და თუ გადავრჩი,
და თუ დამცალდა,
ბოლომდე ვამხელ
მტყუანს და მართალს...
და ვხედავ, ვხედავ ახალწლის ღამეს
სიზმრად სიკვდილის
გამოცხადებას,
ლიახვის თავზე
ჩამქრალი მთვარე,
ვის გაუნათებს, ვის დასცალდება...
ვგრძნობ, უსაშველოდ,
საშველი არ ჩანს
და უთენია სანთელს ვავედრებ,
ღვთისმშობელს შევთხოვ,
წმინდა მარიამს,
გადამირჩინოს
სამშობლო მხარე!
ბედის სასწორთან
მოძმის ღალატიც
და მოლოდინიც
სისხლისფერია,
ამიცრემლდება
უეცრად თვალი,
სამაჩაბლოში ქართვლის ცრემლია!...

მე და დედა

აგვისტოა, ცხინვალში ვარ,...
კარგს ვერაფერს ვხედავ.
ასეთი რა დავაშავე
მე, ქართველმა, ნეტავ,

ჩემი ჰობი პოეზიაა

რომ ცხინვალში ჩავრჩი ასე
ავადმყოფი დედით:
ვინ მარგუნა შხამით სავსე
დამცინავი ბედი!
ზარბაზნები ქუხან, ქუხან
შუაღამით, დილით,
მერე რა, რომ დედას შია -
ჟრუანტელი მივლის.
შვილო, თევზი მენატრება -
კრძალვით მეტყვის დედა,
ამ სიტყვების გაგონება
ჩემთვის არის ელდა...
ფული სად მაქვს, დედაჩემო,
ჩემთვის ვიტყვი ჩუმად,
სროლის ხმაზე, უნუგეშოდ
ტყვიებს ვყლაპავ უმად...
თავში ლექსი მიტრიალებს,
სტრიქონს ვაწყობ ხმებში,
და ყოველი თოთო სიტყვა
კვლავ მაკვდება ხელში.....
ზარბაზანი ქუხს და სადღაც
კვდება ერთი ბიჭი...
ღმერთო! მიეც ოსს და ქართველს,
დაფიქრების ნიჭი.

სად ხარ, ჩემო მამულო...

დილის რძეში ჩამბალი
მარტის ცივი ღრუბელი,
ისმის შეპირებული
მერამდენე ზღაპარი...
შემოვლითი გზები და
შემოვლითი ფიქრები,
არ ავყვები ცდუნებას
ჩემს ფიქრს მივეფიქრები...
სად ხარ, ჩემო მამულო...
ჩემო წყაროვ, მდინარევ
ეს არაა სამშობლო,

ჩემი ჰობი პოეზიაა

ფაქტით გამომდინარე:
თუ ეს ბედისწერაა,
ვკრთები ხანძრის ლოდინში,
სამაჩაბლოს ვერ დავთმობ, -რუსო, დიდი ბოდიში!..

ქვიშხეთი

მომენატრება ჩემი ქვიშხეთი,
ჩემი მარადი ხილვა,
ჩავალ სოფელში, ჩემს დედულეთში,
იქვე დავიდებ ბინას.
მერე ვინატრებ იმ დღეს, რომელსაც
ჩემს ნაზ ხილვებში სძინავს,
კოშკის უბანი, წყარო, მთაწმინდა,
ფიქრი გაჰფანტავს ნაღველს,
ქარი კვლავ გაშლის ფეხადგმულ სტრიქონს,
ანდა მთელ ფურცელს დახევს.
დღეები ისე სწრაფად მიჰქრიან
გინდა ინატრო რამე...

ღვინობისთვეში

ფოთლებმა მკერდზე გაშალეს დილა,
ჩამოიშალა ნისლები მთებით.
გიჟმაჟი სრბოლა იმ ღამეს შერჩა,
შემოდგომაა, სურნელით ვტკბები.
ავაბილიკებ განდეგილ არეს,
გავყვები ჭორფლით განფენილ მინდორს,
მისთვის ვეწამე და გიერთგულე,
რომ ჩემი გულის სუნთქვა გაუწყო.
მხოლოდ შენ ძალგიძს ჩასახლდე ჩემში,
გადამიხუნძლო სული მტევნებით;
ღვინობისთვეში ქვიშხეთში ვთვრები
ჯამში ჩაღვრილი შენი ცრემლებით.

ჩემი ჰობი პოეზიაა

თერხვის ქარი

აქ ნიავიც ცელქია და ფრთიანია,
თერხვის ქარი აგიმხედრებს სურვილს
და ცაცხვებთან გარინდული ყიფიანი,

სამშობლოზე ფიქრით იკლავს წყურვილს.
ქვიშხეთს ახსოვს სულხან-საბა და აკაკი
აქ მგოსნების შთაგონება ენთო,
ნინოს ლოცვით ანთებული კელაპტარი
ამერ-იმერს ავედრებდა სამწყსოს...
მეც მოგენდე, შენში დარჩა ჩემი გული,
მთვარეს შერჩა დაღად თეთრი ღამე,
საქართველოს სულიერო ზენა,
უკვდავებით შემოსილო მხარევ!

მერე

მე ახლა ვებრძვი ჩემს მარტოობას
და გავუსწორე თვალები სიზმრებს,
მერე, ზამთარი სიმღერით მოვა
და სავსე მთვარე შედგება ცერზე...
ეს ღამე, ვიცი.. მომისვრის ცისკენ.
ავალ. მეტყვიან: დაგაგვიანდა....
ავიქნევ ფრთას და.. ჰაიდა, მზისკენ, -
აი, ოცნება ადამიანთა.
ჩემთვის სულერთი იქნება მაშინ
რაც გაცხადდება ქვის საუფლოდან,
გადაირევა მონასტრის ზარი
და ხმები ცის თაღს მოეფინება.

იზო ელიაშვილი

დაიბადა 1939 წელს, ქარელის რაიონის სოფელ მოხისში. დაამთავრა გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი მათემატიკის სპეციალობით. სხვადასხვა დროს ასწავლიდა ძლევისჯვარში, მოხისში, ტკოცაში, სურამში და 25 წლის განმავლობაში იყო სურამის 64-ე პროფტექნიკური სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგე. ახალგაზრდობიდანვე წერს ლექსებს. გამოცემული აქვს ლექსების კრებული. გარდაიცვალა 2012 წელს.

ღორინამკალზე

ღორინამკალზე ათევდა მთვარე,
ხეთა ჩრდილები ხევებს ლანდავდა,
ქარი ძერწავდა ჭინკების დავლურს
და ვარსკვლავები ზეცას ქარგავდა.
ღორინამკლიდან სამყარო მოჩანს
და მის პატრონად მიიჩნევ შენს თავს
და თუ ამდენად კადნიერდები
ლაპარაკს იწყებ ცაში თვით ღმერთთან.
ღორინამკლიდან მოჩანს ყინწვისი.
მოჩანს ურბნისი, მოჩანს მთაწმინდა,
სუმბათაშვილის თავადის ლანდიც,
გლეხთა ხარებს რომ თავებს აცლიდა.
ღორინამკლიდან გორგასალიც ჩანს,
დავითი, ცოტნე, მეფე თამარი.
ღორინამკლიდან მოჩანს დიდგორი -
გულანთებული გმირი მრავალი.

ჩემი ჰობი პოეზიაა

ღორინამკლიდან არტანუჯიც ჩანს,
ართვინი, ოშკი, ტაო, უბისი.
მაგრამ ყველაზე ლამაზად მოჩანს
ღორინამკლიდან მცხეთა, თბილისი.
ღორინამკალზე ყივის არწივი,
როგორც საყვირი ერეკლეს ჯარის,
ღორინამკალს ხომ ამშვენებს ახლაც
ზვიადის დროშა და ნინოს ჯვარი.

ხაშურის ზეცა

აღმატებულან სიმღერად, ქებად
ბათუმი, გორი და ქუთაისი.
მათ არ იციან, რომ შენს ზეცაზე
რა სილამაზით ელავს აისი.
არ გვითქვამს შენთვის მრავალი ლექსი,
ვერ შემოგბედეთ დიდებულს ქება,
ხაშურელი ხომ პოეტსა ნიშნავს,
ყველა მათგანი ფლობს უფლის ენას.
დილის რიჟ-რაჟში ამოწვერილი
სხვაგვარად კრთება ცაზე ცისკარი
და უსაშველოდ ამაღლებული
ლექსს უჩურჩულებს სატრფოს ჩინარი.
მთვარის სხივებით განათებული
ვერცხლისფრად ბრწყინავს ღორინამკალი,
მის ერთერთპიკზე გარკვევითა ჩანს
უზარმაზარი ნაჭედი ჯვარი.
ტაშისკრის ველზე ციცინათელებს
ცად აუწვდიათ ჭიაკოკონა,
ოცით, რამდენი სილამაზეა?
არც ისე ცოტა, სხვებს რომ ეგონათ.
სასიქადულოდ ფესვებძლიერო
კვლავ მაგ სიძველის მანტია გესხას,
არსად გვეგულვის ასე კამკამა,
როგორიც არის ხაშურის ზეცა.
ისეთი ხიბლით გვიზიდავ შენსკენ,
ისე კარგი ხარ, ჩვენო ხაშურო,
რომ შენს შუკებს და ქუჩაბანდებში
მინდა ნაკურთხი წყალი ვაპკურო.

ხაშურში ყველა პოეტი არის,
და შენ, ხაშურო, პოეტთა დედა.
ცა დაგვილოცეთ ციურ-სხეულნო,
ლექსები გვინდა გავაკრათ ზეცას.

თუ ვერ ვხვდებით

თუ ცას კიბე ვერ მივადგით,
ზღვას ვერ გავდეთ ხიდი,
ვერ დავკრიფეთ ვარსკვლავები
უფლის დიდი რიდით,
თევზებიც ვერ დავითვალეთ
ზღვის ღმერთების შიშით,
თუ ვერ მივხვდით რად გვაღელვებს
ყვავილები ხიბლით,

თუ ვერ ვხვდებით, მზე რად არის
თბილი, მთვარე - ცივი,
რად გვიხარის სიყმაწვილე
და ცის ნამი დილის, -
მაშ, როგორღა ჩავწვდით მტრობის
საიდუმლო ძაფებს
და ერთმანეთს რად ვუმზადებთ
სასიკვდილო აბებს?!
--მოდით, ერთმანეთის სამტროდ
ნუღარ შევქმნით მითებს,
ნუ ჩავანგრევთ გულებს შორის
სიყვარულის ხიდებს.

სამაჩაბლოს მონატრება

სამაჩაბლოში გაზაფხულობით
ლამაზად იცის გამოზამთრება
და დედამიწის ამონასუნთქი
მსუყე სურნელით თავბრუს დახვევა.
სამაჩაბლოში წაგვართვეს მიწა,
წაგვართვეს მზე და წაგვართვეს მთვარე,
მშობელ მიწიდან მოწყვეტილ ხალხს და
უმანკო ბავშვებს სვე გაუმწარეს.

ჩემი ჰობი პოეზიაა

იქ დარჩენილი კოხტა ოდები
გლეხკაცმა შრომით, გარჯით აშენა.
ამ სილამაზის დამანგრეველნო,
ღირდა კი ქვეყნად თქვენი გაჩენა?
აბორგებულა თვით დედამიწაც,
გლეხკაცი ბელტზე ბელტს რომ არ ყრიდა,
ღობეს შემჯდარი კენტი მამალი,
ალბათ, როგორი სიმწრით აყივლდა!

მე მონატრება მომკლავს იმ მიწის,
იმ ველ-მინდვრების, იმ კამკამა ცის,
ობლად დარჩენილ ვერცხლისფერ ფშატის,
მდინარე ფრონის, სურნელი ცაცხვის.
სხვა მონატრება იცის ქართველმა,
სხვა სიყვარული ქვეყნისა და ცის.
სხვა ქვეყანაში განცხრომით მცხოვრებთ
მოკლავთ სურვილი გუთნის და ფარცხის.

ცხრამუხის ტაძარი

დარეჯან თაგვაძე

დაიბადა 1953 წლის 1 იანვარს, ქარელის რაიონის სოფელ დირბში. დაამთავრა ადიგენის რაიონის სოფელ მოხისის საშუალო სკოლა, შემდეგ, 1974 წელს პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი. 1974-79წლებში მუშაობდა თბილისში, ოვანეს თუმანიანის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკაში, 1980 წლიდან ხაშურის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, შემდეგ ხაშურის #7 საჯარო სკოლაში ბიბლიოთეკარად. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი

***

პოეზია - გაოცება,
პოეზია - ზღაპარი,
პოეზია - სიყვარული,
პოეზია - ლამპარი,
პოეზია - გაოცება,
თეთრი ფიქრი საგანთა,
პოეზია - აზრთა წყება,
ფიქრი დაუსაბამო...
პოეზია მრავალთა!

წამებად ვკეცავ

მამულზე ფიქრი გულის კოვზს ლოკავს,
„სევდის ანარეკლს“ ვისაგზლებ აწი.
ახლა არ ვიცი, თუ რამე მომკლავს,
წარსულიც, აწმყოც იშლება თვალწინ.
მომავლის რწმენით დარდის ნისლს ვფანტავ,
და ვრითმავ ლექსებს იის მწკრივებად,

ჩემი ჰობი პოეზიაა

„სევდის ანარეკლს“ ჩირაღდნად ვანთებ
და სიხარულით გამეცინება.
განუშორებლად თან მახლავს გრძნობა,
ვუგზავნი გზავნილს ზემაღალ ზეცას,
დრო დროობს, უფლის საოცარ ნებით
ნაომარ დღეებს წამებად ვკეცავ!

დრო გარბის

დრო გარბის, მიწაც სიარულს აჩქარის
და გვპარავს წამების მეასედ ნაწილებს.
დაგროვილ წამების განძს ჩუმად დამალავს
და მერე სხვა დროში სხვებს გაუნაწილებს.
ირიბი მზის სხივი ცის ტატნობს გახედავს,
კავკასის მთებიდან ათინათს არეკლავს,
სიხარულს შემატებს, იმედით აავსებს
მამულის მიწაზე ვინც კრეფდა ნარ-ეკალს.
დრო გარბის, ქვიშაზე ნაფეხურს დაამჩნევს,
ყოფნის და არყოფნის ზარებიც დარეკავს
და საუკუნენი, მკაცრნი და უხმონი
უკლებლივ ყველას და ყველაფერს წალეკავს.

დროის სონატა

მზეც სადღაც გარბის,
ზღვაც სადღაც ჩქარობს,
მთვარესაც სადღაც მიეჩქარება,
დრო დროობს უხმოდ,
ცა რჩება ცადა.
ზუზუნით ქრიან სველი ქარები.

ჩემი ჰობი პოეზიაა

ეთერ თათარაიძეს

„ფიქრზე ერთგულ არაფერ
არ გაუჩენავ უფალსა“

I

შენს ლექსებთან ვბაასობ, ჩუმად, ჩემთვის ვდუმვარ,
მასპინძელიც კარგ მყავხარ, მიჟიკჟიკებ ბუხარს.
აჰაი, მთის დედოფალს ჩამოფრენილს ბარად,
სიტყვა ლექსად შეგკადრე, მეოცნებეს ვგავარ.

II

გიყურებ, გულ მტკივ, ეთერო! „ქანცვა-ჯაჯანით მავალ“,
შენს ლექსებს ნაზიარები ფიქრთ ჯარჯოკალის წავალ.
რად გასაფრენად ემზადებ, ცის ბილიკებსა ზომავ,
„შიშ-კანკალია ამიტანს“ შენი ლექსებიღ მთოვარს.

III

„კოწიწ-კოწიწ-კოწიწით“ მომაქვს გული წლობით,
ხან ცხელ-გულად ნათქვამი, ხან ალაზნებრ მდოვრი.
არცა იმედს მოვიშლი, არც ვიზაფვრი წამით,
„მომაქვს ჩემ წუთისოფელ“ და დიდგულ ავარ ამით.

სურამი



რევაზ თუმანიშვილი

დაიბადა 1929 წლის 18 ივლისს, სოფელ ხცისში. 1948 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც 1952 წელს დაამთავრა. ამჟამად პენსიაზეა. ჰყავს შვილი მარი, სიძე ზაურ ჭანკოტაძე და შვილიშვილები. გამოცემული აქვს ლექსების სამი კრებული და ნაშრომი „ხცისის ძველი და ახალი ქრონიკები“.

მადლობა უფალს!

მზის ტახტზე ვიჯექ, მთვარეს დავცქერდი,
სხივმა გააპო ღამის წყვდიადი,
ვთქვი, თუ სამყარო რა ძალამ შექმნა
ასე ლამაზი, ასე დიადი?
დამბლადაცემულ ღამის უკუნი
სინათლემ შთანთქა, გახდა ხილული,
სისასტიკეში მყოფმა დრომ ღამის
დაღლილობისგან თვალი მილულა.
ვთქვი, ღირს იფიქრო სიცოცხლისათვის
და სამყაროში გქონდეს ადგილი,
მადლობა უფალს, რომ არც სიცოცხლე
და არც სიკვდილი არის ადვილი.

განდეგილო ძმაო...

ძალით დამორჩილებულო
საოცნებო მხარევ,
აფხაზეთო, შენი ხილვით
ბევრჯერ გავიხარე!

ჩემი ჰობი პოეზიაა

სულ სხვა იყო მაშინ, ძმაო
შენი მზე და მთვარე!
სულ სხვა ფერი გედო მაშინ,
სულ სხვა სიო ქროდა,
მეგობრობაც იცოდი და
სიყვარულიც გქონდა!
მერე სხვა გზა აირჩიე,
შენც არ იცი, რატომ?
ამ ვეშაპთან რას გახდები
თვალაბმული მარტო!
ახლა ცრემლით შემოგყურებ,
ძმაო, განწირულო!
ოკუპანტის ხელქვეითო
მწირო და ბედკრულო!
გამოფხიზლდი, იცან თავი,
მოიბრუნე გული,
არ დაკარგო საუკუნო
ძმობის სიყვარული!

ამაყი მთის შვილი

„ლილეოს“ მღეროდა და ლელოც გაჰქონდა,
იყო ამაყი და მტრის შიში არ ჰქონდა,
სტუმრად მიგიღებდა, კარს გაგიღებდა,
მასპინძლის სინდისზე ხელს არ აიღებდა.
ძმობას გიცხადებდა და ძმად მიგიღებდა,
იმ ოჯახის დედა იყო შენი დედაც!
თუ რამე გააჩნდა, არ ენანებოდა,
სიძუნწე სტუმრისთვის არ ეხმანებოდა.
კაცურად გმსახურობდა და ძმობას გაგიწევდა,
თვალს არ დახუჭავდა და ტვირთს აგიწევდა,
გაწეულ სიკეთეს არ დაგიკარგავდა,
ის ადათ-წესებით არავის არ ჰგავდა,
ნადირს შეებმოდა შენს გადასარჩენად,
იყო ხერხიანი, უჭრიდა მარჯვენა,
მთას დალაშქრავდა და არაფერს იტკენდა,
დაღლას და სიცივეს კაცურად ითმენდა.
ბარში ჩამოსული წელგაშლილი ვიდოდა,

ჩემი ჰობი პოეზიაა

აშოლტილ ვაჟკაცის ყურება გინდოდა,
იყო განსაზღვრული ოჯახის წესები,
ამ ხალხის ტრადიციას ღრმად ჰქონდა ფესვები.
დროთა სვლამ ისინი ვერაფრით შეცვალა,
მათ დავიწყებისთვის არავის ეცალა,
დღემდე ასე დარჩა თავისი ბუნებით.
და მას ვერ შეარყევ თავის ცდუნებით.
ომღერეთ „ლილეო“, გამრავლდით, იხარეთ,
სამშობლოს მშვენებად ცოცხლობდეს ის მხარე!

დედაო ენავ!

დედაო ენავ!
შენ თვალთა ჩენავ!
ჩემო წუხილო
და აღმაფრენავ!
დედაო ენავ!

მზეო ნათელო,
შენი ხატის წინ
ლოცვად დამდგარი
ოცნებობს, იღვწის
დღეს საქართველო!
იღვწის, რომ შენი
სახე და ღვაწლი
მტერმა არასდროს
ნახოს სნეული.
რომ ერთად იყოს
ქართველი მარად -
დედის ხატი და
შენი სხეული!
დედაო ენავ!
იმედო, რწმენავ
ბედნიერი ხარ
რომ შენთა შვილთა
სულის სიღრმეში
დაიდე ბინა

ჩემი ჰობი პოეზიაა

და ვერვინ შეძლო
ამოეძირკვე მისი სულიდან,
იქ ჩადუღაბდი
ქვათა და რკინად!
და ასე მოხველ
დღემდე, ნათელო,
გფლობს და ვერ დაგთმობს
შენ საქართველო!
დედაო ენავ!
სიცოცხლე შენი
მომავლის მჩენი,
ღმერთის კურთხევით
არს განძი ჩვენი!
დრო და დრო გყავდა
მტერი მგმობელი,
მაგრამ გიცავდა
ერი მშობელი!
ასე დაგიცავს
აწ და მარადის.
ვერაფრით დაგთმობს
კუბოს კარამდის!
შენი მზეობა
ერის მხნეობა -
არს ჩემი ქვეყნის
განძი მარადი.
უფალო ღმერთო,
შენ ერთადერთო!
ამ განძს ერისას
მუხლმოყრითა გთხოვ,
რომ შენი კალთით
დაიფარავდე!

მიხეილ თუმანიშვილი

დაიბადა 1979 წლის 17 სექტემბერს ხაშურის რაიონის სოფელ ხცისში. მისი ლექსები და „ლექსები პროზად“ იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში. არის ლიტერატურულ-ფილოსოფიური გაზეთის „ათასწლეული მესამის“ დამფუძნებელი. პოეტური სამეულის - „ტრიოლეტის „ წევრი, რომელიც 1999 წლის 14 სექტემბერს შეიქმნა.

ნიშნობის შემდეგ

ცა მიატოვებს, ვით შეშლილ მკითხავს,
ალვებს, დამდნარი თოვლივით გამხდარს,
მე ამ მხარეში გეძებდი დიდხანს
და ბაღში ჩემი წუხილი დამხვდა.

და სიზმარს, გლოვის დღესავით გაცრილს,
მზემ ლაჟვარდები ჩაგიწნა ხუნდად,
დამსგავსებული ამ წუხილს მკაცრად,
ხელს ადნებოდი ვით თოვლის გუნდა.

შორს ჩემს სასახლეს ფარავდა ნისლი
და ნისლოვანი სითეთრე მთვარის,
გული დაჭრილი მსუბუქი ისრით
და სული შენი სიშორით მთვრალი...

ეს იყო ღამე, რომელშიც იშვი,
ეს იყო ღამის და სივრცის ფარდა,
სადაც უნანკო შვილების შიშით
არაფერია სიკვდილის გარდა!

ჩემი ჰობი პოეზიაა

სადაც მტვრისფერი ღრუბელიც ქარობს,
როცა ნიავი გადაშლის მთებად,
სადაც პოეტი ოცნებით ხარობს
და კაენური ღალატით კვდება!..

შეჩერდი, მაგრამ რას ეტყვი უფალს,
შენს ოცნებათა სხივების მლესავს,
სადაც სამყარო ელის დაღუპვას,
სადაც ბავშვების გაისმის კვნესა!?

ბელურა

რად არ გაფრინდი უცხო ქვეყნის მზიან მხარეში,
რად მოწყენილა ანთებული შენთვის პირიმზე?
ხომ არ გაშინებს ავდრიანი ქარის თარეში
მარტო დარჩენილს შემოდგომის ბაღის ბილიკზე?
ყვითელ ტირიფებს დღის სინათლე ფერფლად აცვიათ,
საღამოს ბინდი ტბის სივრცეში ჩაიძირება,
თითქოს ცეცხლოვან მზის დისკოზე ხელი დაწვია.
ხედავ, მერცხლები ცაში აღარ ტრიალებენ ვეება გუნდად?
მათ ხომ დატოვეს მშობლიური არემარე დიდი ხნის წინათ,
შენს გულში ცივი მშობლის ტრფობა რად არ გახუნდა?
შენი თვალები სევდიანი ალერსით ბრწყინავს.
ბაღის უდაბნოს რად შემორჩი ჩემო ბელურა,
ჩემი სარკმლის წინ რად დაფრინავ ყოველთვის კენტად?
სიკვდილის განცდა ცივ მანტიად შემოგეხურა,
მტანჯველი ზამთრის მარტოსულო, დიდება შენდა!..
2
დიდება შენდა, მგლოვიარე სამოთხის ჩიტო!
სიკვდილის როკვა ყველგან ერთია.
გსურს ცივი ფრთები ერთუულების ჯვარივით ზიდო
და მზეს განუდგე შემოდგომის პერგამენტიანს.
ნუ გეშინია! შენც მოგისწრებს ისევ ვარდობა
ისევ ბეჯითად შეერკინები
თეთრი თოვლის მღელავ ფოლიანტს,
მზის ფრინველები განა მართლა დანავარდობენ,
მათ სირცხვილისგან თავი დაბლა დაუწევიათ,

მათ უძლურ ფრთებზე ბრმა მათხოვრის მელანქოლია
სიკვდილის აჩრდილს შავი ფანქრით დაუწერია.
შენ მოდი ჩემთან!..

3

ის ფრინველნი სხვის კარზე დგანან
და უნდობელნი ძველებურად კრავენ კამარებს,
ან თეთრი მტრედი საცოდავი არ არის განა,
თუ ვეღარ ნახავს შეყვარებულ იასამანებს?
ყვითელ ფოთლების ხალიჩებში ფრენას სხვა რა სჯობს,
როცა ღრუბლები ამოზიდავენ ოკეანის ტალღათა შხეფებს,
ვერცხლის ფიფქები მოგიხვევია საკუთარი გულის დარაჯო,
შენ ხარ პლანეტის გვირგვინოვან სამყაროს მეფე!
ბრუნავს პლანეტა და შენ ხედავ
როგორ ეშვება ციდან ფარდები,
რომ დააშოროს შენი მზერა საღამოს პალმებს,
შენი უმანკო სიყვარული წარსულს ბარდება
და ქარიშხლები გიშლიან კარვებს.

მოდი, ბეღურა!... ჩემს უღონო მხარზე დადექი,
მეც არ გეგონო მხრებჩვრიანი მეფისტოფელი,
რადგან მიყურებ შენებრ შემკრთალს და ძილგატეხილს,
რადგან მთვარის ქვეშ იდუმალი სევდით მოფენილს
ხელში მიჭირავს მგლოვიარე ჭადრის ფოთლები.

4

„ ვარ მოფუზული ჩუმად ტოტზე და ჩვენს მგალობლებს
მე ვუწყალობებ სიზმრის ბაღნარს.
მიწავ, დამხედე!.. მზეო, დამინდე!...
შენც სიყვარულს მგალობელი სევდით მწყალობდე
და გადავიფრენ ჩემი სულის
თეთრ პირამიდებს.
მზე როცა ზღვაში ჩაესვენება,
როდესაც ხევებს შემოეხვევა ქარიშხალი
ბროლის ხუნდებად,
მაშინ სჭირდება ხეს მოფერება
და სიყვარული სხვა სიცოცხლედ ჩემში ბრუნდება

ჩემი ჰობი პოეზიაა

როცა ვერხვები გაიძარცვება,
ზამთრის სიყვითლე უსამანო ნისლით ციმციმებს,
როდესაც ველი დაიფერფლავს კალთებს მწუხარედ
და ვარდ-ყვავილებს დააწვება თოვლის სიმძიმე,
მაშინ ავანთებ ჩემს გულს
ციურ ძალებით რომ შევამკო სამშობლო მკვდარი,
მე მინდვრის წარსულ სურნელებით დავრჩები მთვრალი,
რადგან აც მშვიდი მარტოობის დღეები მერგო.
ვარ მოფუზული ჩუმად ტოტზე და ჩვენს მგალობლებს
მე ვუწყალობებ სიზმრის ბაღნარს.
მიწავ, დამხედე!.. მზეო, დამინდე!...
შენც სიყვარულს მგალობელი სევდით მწყალობდე

და გადავიფრენ ჩემი სულის
თეთრ პირამიდებს..

5
სამყაროს განცდა ჩემში ისევ საშინელია,
თავზე მეყრება თოვლის მანტია,
თოვლში ვარდები ჩამოჭკნებიან
და ვარსკვლავები თეთრ კუბოში ცეცხლად ანთია.
ხედავ, მერცხლები აღარ ტრიალებენ ვება გუნდად?
შენ არ დამტოვე არასდროს მარტო,
სამოთხის ვარდო,
სევდიან გულს ალერსი უნდა!..
მე შემოგყურებ,
არ ხარ ჩიტი, -
ხარ თოვლის გუნდა!



ციური ინასარიძე

დაიბადა დაბა ასპინძაში. დაამთავრა პოლოტექნიკური ინსტიტუტი. ლექსებს წერს 10 წლის ასაკიდან.
ჰობი: ქარგვა, ქსოვა, მუსიკა. პედაგოგი. ცხოვრობს ხაშურში. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.
გამოსცა ერთი პოეტური კრებული "ოდეს ვინმეს დავეჭირვო".

ჩემო ქვეყანავ

აყვავდი ჩემო ქვეყანავ,
კვლავ გაზაფხული გეწვია,
მაგ ნაიარევ გულ-მკერდზე
სულ ია-ვარდი გფენია,
გიხდება ჭრელი პირ-ბადე
და გშვენის დიბა-ატლასი.
მინდვრად გაისმის გლეხკაცის
სიმღერა ტკბილი, ხალასი.
გვესმოდეს ველად გაშლილი,
ყვავილთ საამო შრიალი,
ობლად არ დარჩეს შვლის ნუკრი,
ბარს არ მოადგეს მტირალი,
ჯეჯილი არ დაისეტყვოს,
ჩუმად დააჩნდეს ცვარ-ნამი,
დაშაქრდეს ქარვა-გიშერი,
ნიავს გაჰქონდეს ნარ-ნარი.
ჩემო ქვეყანავ განახლდი,
ცრემლი შეიშრე, აყვავდი,
ღრუბელი მოიშორე და
ხვავით, ბარაქით ამაღლდი.

ჩემი ჰობი პოეზიაა

* * *

არავინ იცის, ხვალ მოგველის რა,
ანდა ერთმანეთს ვნახავთ თუ არა ,
კაცი -კაცს ხვდება, მთა -მთას კი არა,
სიკვდილმა თუ არა ჩამოიარა.
როცა სიკვდილი მოდის უეცრად,
ოცნება რჩება ნატვრის ამარა,
მაშინ ოცნებას ფრთები აღარ აქვს,
რომ მერცხალივით შეკრას კამარა.

ნეტავ იმ მოკვდავს

პატარა ფრთებით ჩიტმა პატარამ
ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაიარა
ცრემლი გვადინა ყველა იარამ,
გულში ტკივილად რომ გაიარა.
დაცემა ჰქვია, დიდება - არა
სული რომ კვდება, ხორცი კი არა ,
ვინც წაქცეულის ზურგზე იარა,
უფალს განუდგა, ეშმაკს კი არა.
ნეტავ იმ მოკვდავს, ისე იარა,
სიხარბეს სძლია, მადლით კია რა,
ბეწვის ხიდიც კი გამოიარა,
ღმერთს მიეახლა, დემონდს კი არა.

მარიკა კვინიკაძე

დაიბადა 1991 წლის 25 მარტს. სწავლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბავშვობიდან წერს ლექსებს.

ამ დიდ ქალაქში

გამიასმაგდა ახლა ფიქრი,
ფიქრი, - თავნება.
ფეხი აიდგეს, უნებურად
თითქოს დარდებმა.
ხეზე ფოთოლი ჯერ არ მოჩანს,
მარტი დროს ითვლის,
ჟამი, მზიანი სიყმაწვილის
უთქმელად მიდის.
ამ დიდ ქალაქში დავიკარგე,
ვგრძნობ, რომ მარტო ვარ.
დღეა და , თითქოს მწუხარებამ
გამიმარტოვა!...
თუმცა, იმედით გამოვყევი
აქეთ დინებას,
მაინც უსიტყვოდ გადამყლაპავს
თუკი ინება...
არ მეშინია, გარს მარტყია
სულის სინათლე!
სულო : შეძელი, ხილვად გახდი,
მარად ინათე!

ჩემი ჰობი პოეზიაა

მზეო, ბილიკად გამეფინე,
როცა მარტო ვარ, -
ამ დიდ ქალაქში
სიყვარულმაც თუ მიმატოვა!...

დრო

დრო სწრაფად მიიწევს,
მსურს თვალის დახუჭვა,
ახლა ფრაზებს დავწერ
და ფურცელს დავკუჭავ.
ზემოდან გვიყურებს
სისუსტით ძლიერი,
უპატიოსნობით
დანაყრდა მშიერი...
ახლა ბაღის ნაცვლად
ხავსი და კორძია,
ხედავ? შემოდგომა
სულ გაუკორტნიათ!
დრო სწრაფად მიიწევს,
მსურს თვალის დახუჭვა,
ახლა ფრაზებს დავწერ
და ფურცელს დავკუჭავ.

იცი?...

იცი? ბავშვობის ნაფეხურებს
დავეძებ დღესაც,
რადგან შიშისგან
დაფლეთილ სულს
ისღა გაკემსავს...
თეთრ გვირილებში
გასრიალდნენ
ბასრი ფიქრები
და მიეხვივნენ იმ ხეს, სადაც
ხშირად ვისხედით.
გული შეტოკდა, ვერ ვიგრძენი,
რაც უნდა მეგრძნო, -

ჩემი ჰობი პოეზიაა

ის ხე, მეხისგან გახლეჩილი
მიწაზე ეგდო!...
ჩემი ბავშვობის ანაბეჭდებს
დავეძებ დღეს აქ.
მივხვდი, დამტოვეს
სამუდამოდ...
ვერ ვპოვებ ვერსად.

ერეკლე კორკოტაშვილი

დაიბადა თბილისში, 17 წლის. ჰყავს მშობლები და ძმა. სწავლობს ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში, პირველ კურსზე.
ბავშვობიდან წერს ჩანახატებს, ლექსებს, მოთხრობებს და მინიატურებს, იტაცებს მუსიკა და დიდ პატივს სცემს ხელოვან ადამიანებს. თავისუფალ დროს ძირითადად მეგობრებთან ერთად ატარებს ან ჯერ კიდევ უცნობი მწერლების შემოქმედებას ეცნობა.

,,ბრძნად მეტყველებაი ვერცხლი არს წმიდაი ხოლო დუმილი ოქროი რჩეული'' ჯობს ამ ფრაზას დავეყრდნო, რადგან ჯერჯერობით ჩემი ავტობიოგრაფია ბევრს არაფერს ამბობს, მაგრამ ყველაფერი წინაა - ამბობს ერეკლე.

დაცემული ადამი

ჯერ მე ვიყავი,უცებ შენ გაჩნდი
ჩემი ნეკნისგან ამ ქვეყანაზე,
კაენმა გუშინ აბელი მოკლა,
ცოდვა გამეფდა...სისხლი დანაზე...
გახსოვს?!დავეცით ჩვენც ცოდვით ძველად,
ვიმყოფებოდით ედემში , ველად,
რომ შემოგვიძვრა ეშმაკი თავში
და შთაგონებით გვაჭამა ვაშლი.
ვინანეთ, მაგრამ უკვეა გვიან,
სამოთხის კარი, არ არის ღია,
რომ დავინახე შენი სხეული,
ღმერთი განმშორდა, დავრჩი ეული.
ორფეხა კაცი, გავხდი-ცხოველი,
ღმერთის მეორედ ნახვას მოველი,
დაე, დაწყევლოს გველი, სატანა,

ჩემი ჰობი პოეზიაა

ჩვენი სიწმინდე - ქარს გაატანა.
და ანათემით დასაჯა ღმერთმა,
ყოველი საჭისმპყრობელმა, ერთმა,
რომ მან იხოხოს მიწაზე მუცლით,
ჩვენ კი უფალის ნახვას დავუცდით.

გალაკტიონი

მთვარის კაბადონს გადავაძრე
ხალათი თეთრი,
სწორედ იმ ღამეს მე ვიგრძენი
ღალატი, კეთრი.
სამების ზარებს დავუარე,
დავრეკე მარდად,
გალაკტიონი მეცხადება
ზეცაზე ლანდად.
თითქოს დამათრო იმ წარსულმა,
მიბრუის თავი,
მე დღეს ჟამთასვლას მეგობრობის
დავუდე ზავი.
თითქოს დამეძებს, თან დამყვება
გიგანტი ღამე,
თუ ამბობს სიტყვებს, ნუ აყოვნებ,
მითხარი რამე.
მე ახლა გიმხელ გულისნადებს,
ჩემს გულისტკივილს,
რომ პანთეონში მარტო მდგარი
დავიწყებ ყვირილს.
მაწვება სევდა, დიდი ნატვრით
სევდიან ტირილს,
სულით ავადმყოფს ახლო მთვარე
შვილივით მივლის.
ბაქანზე ვდგავართ მე და
დიდი გალაკტიონი,
შორიდან მოჩანს ნარიყალა,
მეტეხ-სიონი.
რომ დავიბადე, მგონი მაცხეს

ჩემი ჰობი პოეზიაა

წმინდა მირონი,
მახსოვს იუდა, პეტრე, ლუკა,
მათე, სიმონი.
შუა წერტილი გავხდი მე
დღეს ამ სამყაროსთვის,
მსხვერპლი გავიღე უკვდავების
ლამაზ წყაროსთვის.
სამარადისოდ ჩემი ლექსი
ვიცი დარჩება,
ცაზე ვარსკვლავი, მოწყვეტილი,
რომ გადარჩება.

ილია მოკლეს

მგონი იკმარა ქართველმა ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!
წმინდა ილიას დასწამეს ცილი,
მისი ხსოვნა კი მარად იქნება.

ვაი,ქართველო, ვტირი სირცხვილით,
ტყვია ესროლე შენ ერის მამას,
გამარჯვებული მშვიდად იცინი
და ნამდვილ სახეს ნიღაბში მალავ.
ვერ ვიპოვნე მე ვერც ერთი მარჯვენითი ავაზაკი,
ვინც ითხოვდა პატიებას - თვალში ცრემლით, გულში დარდით,
სამშობლოზე შეყვარებულ კაცს დავეძებ მბჟუტავ სანთლით,
თუ ვიპოვნე არ გაგიმხელთ , მასაც ხომ სიკვდილით დასჯით ?!

მარტოობა

მარტოობა, მარტოობა, მარტოობა ისევ მტანჯავს,
უშენობით დაკარგული ყოველი დღე ძლიერ მქანცავს,
მე ჭურჭლისთვის არ ვშობილვარ, არ არსებობს ჩემთვის მიწა,
ღმერთთან იყოს ყველას სული, ვინც კი ხორცი ყორნებს მისცა.

უშენობა, უშენობა, უშენობით გული ღელავს,
ბატონი ხომ ბალახიდან უნაყოფოს გადასცელავს,

ჩემი ჰობი პოეზიაა

ეპოქაა ბედისწერა, სწრაფი როგორც ქარიშხალი,
მე კი ვწერ და ის მადარდებს , რომ ვიპოვნო ჩემი ქალი.

ჩემი ნატვრა, ჩემი ბგერა,
ჩემი სულის ამობერვა,
რაც კი ლექსი მიწერია,
დღეს მისია ეს სულყველა.

რაც მიხატავს, რაც ვიმღერე,
რაც კი რამე შემიქმნია,
მე მას ვჩუქნი და არ ვიტყვი
სანანებლად - რა მიქნია...

მარტოობის ასი წელი...
მარტოობის ჟამი ბნელი..
მეთერთმეტე ის მუშაკი...
და სიკეთის საძირკველი...

შემოდგომის მოგონება

იცი , ლამაზი ჩემი გაცნდები
პლანეტებს ჭარბობს , ისე ბევრია,
ბედისგან ნასროლ ტყვიას ავცდები
მუდამ მახსოვს, რომ ჩემი მტერია.

მე შემოდგომის ზღვა მოგონება
მაგიჟებს ძლიერ და თითქოს მათრობს,
მახსენებს შენ თავს და ეს გონება
დღეს შენზე ფიქრებს ინახავს, არ თმობს.

აწ გარდაცვლილი ჩემი წარსული
მე ისევ მიხმობს, მაგრამ შორია,
ჩემი ფიქრები კოსმოსს გასული-
დაფრინავს, როგორც თეთრი თოლია .

მიყვარხარ

მინდა გითხრა რომ მაქვს გრძნობა,
ია-ვარდით მოქარგული,
ყრუ და ბრმაც კი ალბათ იგრძნობს-
ვისაც გვამში უდგას სული.
ახლა გიმხელ მე ამ განცდას,

რომ მიყვარხარ სიგიჟემდე,
ხელს მოგკიდებ ხელზე ნაზად და
აგაფრენ ცის კიდემდე..
როცა..შენც...შეგიყვარდები.....

გზა

მზის ჩასვლას ვხედავ მე , შენს თვალებში,
რომ მოგეფერო დამიშლი ნეტა?
უკვე ყელამდე ვცურავ ვალებში,
შენ ჩემი შვილის იქნები დედა.

მაგრამ შენ გინდა ამაზე მეტი,
ისეთი რაც კი არ გაბადია,
მარტის დილაა,ცივი,ცამეტი,
თურმე ცოდვები არ გაპატია.

და ჩვენ ვიქნებით ქვეყნად მარადის,
ვიდრე სიცოცხლე არ დასრულდება,
მატარებელი გულზე დამადის,
ვიღაცის წყევლა მგონი სრულდება

პოსტ-ინდუსტრიული სიყვარული

სიყვარული - ორი ერთში,
გრძნობა - დიდი, საზარელი,
რწმენა ცამდე, მხოლოდ ღმერთში,
ამ გრძნობების უხვი ველი.
მე მიყვარხარ სხვანაირად,

ჩემი ჰობი პოეზიაა

როგორც შოთას - თამარ მეფე,
მინდა ვიყოთ ჩვენ სულ ერთად,
შენ - პატარძალი, მე - ნეფე.
გვყავდეს ბევრი შვილი...ლაღი..
მეყვარები მე - უაზროდ,
რომ დამედოს შენი დაღი,
გიყვარვარ და თანაც ბრაზობ.
გიგალობ ,,ავე მარიას''
დაგხატავ მუხის მოლბერტზე,
ვიცეკვებთ ჩვენ გიჟ წვიმაში,
სიცოცხლის ახალ ფურცელზე...
არ გეწყინოს, რომ გწერ ამას,
უკვე ბევრი მოვითმინე,
არ ვაპირებ შენთან თამაშს,
შენს გარდა არ მინდა ვინმე.

სასიყვარულო ბარათები

სასიყვარულო ბარათებში ჩავდე ვარდები,
უხვი გრძნობების დიდ მორევში გადავვარდები,
სასოწარკვეთით მარტო მდგარი ზეცას გავყვირი,
ანგელოზებმა მოიმარჯვეს ცეცხლის საყვირი.
დიდ ლაბირინთის ქვაკუთხედში გამომამწყვდიეს,

შენმა აზრება ეს ფიქრები მონად აქციეს,
მაგრამ მე მოვკვდი, ჩემი სული საზვერეს გადის,
ბნელ სასახლეში სქელი მატლი ჩემს ლეშზე დადის.
კითხულობ ამ ლექსს და შენს გულში იღვიძებს სევდა,
იმ სიცოცხლეში სიყვარული მუდამ თან მდევდა,
და თუ გავიგე შეიყვარე შენ ჩემზე კარგი,
სამოთხეშიც რომ ვიყო,მაინც მექნება დარდი.

მე - კრავი

ვიცი უნდა გამიმეტო მოსაკლავად,
სადღაც მთაში, ღმერთს შემწირო მე - საკლავად,
ავირჩიე დიდი ზეცა - სამალავად,
ვულკანიდან სიყვარული ხეთქავს ლავად.

ჩემი ჰობი პოეზიაა

ვიცი, ვიცი, არ მპატიობ მე არაფერს,
გთხოვ შემინდე, ვიდრე სადღაც შორს გამაფრენს,
გეფიცები ჩემს თვალებზე ცრემლს დანაფენს,
ზამთრის ბოლოს გადავგლიჯავ თეთრ სარაფნებს.
როგორც შენი, ჩემიც ფეთქავს გული,
დამეხუთა უშენობით სული,
ამას ქვია წრფელი სიყვარული,
შინაგანად რომ ხარ დადაგული.
მაპატიე, გაწყენინე ბევრი,
და აივსო ამ გრძნობების ქვევრი,
თუ გავხდები მაღალ ზეცის წევრი,
გთხოვ შემინდე, ნუ ხარ ჩემი მტერი...

ჩვენ, ანუ როგორ შემიყვარდი

წითელი ფრანი ცაში ავუშვი,
ქარვის წვეთები გულში ჩავუშვი,
მე მაშინ ყველა მიყვარდა, ყველა,
რომ მომაპყარი ნანატრი მზერა.
მე მახსოვს წვიმის მუქი წვეთები,
და მოსაკლავად არ მემეტები,
მზიდან გაჩერდნენ სხივის სვეტები,
ქუჩაში სიძვის დიაცს ვედები.
დავლიე, ბევრი დავლიე...მთვრალი...
უკვე გამიჩნდა მესამე თვალი,
მგონი მაქვს შენთან მე დიდი ვალი,
ღმერთამდე კიდევ გზაა სავალი.
ლექსებს ვწერ, არ მაქვს მე დრო და ჟამი,
დავლიე ორი, ჭიქა, თუ სამი,
ფიქროთ გამისკდა ეს ჩემი თავი,
მივდივარ სადღაც, მიცურავს ნავი...
გავიზარდე და თან მაინც ვერ ვარ,
ახლაც კი ისევ მაგრად მაკლია,
მთვარის კალთებზე მდუმარედ ვწევარ,
გამომაფხიზლეთ ვინმემ, მადლია !



რევაზ კოშკაძე

დაიბადა 1949 წლის 28 მაისს დაბა სურამში. 1977 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი , ხოლო 1988 წელს - თბილისის პატენტმცოდნეობისა და ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონიმიკის ფაკულტეტი. ლექსების წერა მოგვიანებით დაიწყო.

ჩემო დედიკო

ფიქრი წავა და წამოვა,
ყველგან შენს ღიმილს ვხვდები,
ნეტავი, კიდევ მაჩვენა
ეგ შენი სახე, დედი.
ჩემს სულში დაისადგურა
მწუხარებამ და სევდამ
და ახლა, მოგვიანებით,
ბოდიშის მოხდას ვბედავ.
რამდენჯერ გული გატკინე,
ჩემო ძვირფასო დედავ,
როგორმე მომიტევებდე,
მაპატიებდე, ნეტავ...
უკვე თორმეტი წელია,ეგ გული აღარ ფეთქავს,
როგორ მაკლიხარ, იცოდე,
რომ ვეღარ გხედავ ღმერთქალს.
ვიხსენებ ბოლო შეხვედრებს,
ავადმყოფურად ფერმკრთალს,

ჩემი ჰობი პოეზიაა

ჩემს მოხუცებულ დედიკოს,
სიკვდილის შიშით შემკრთალს.
ფიქრი წავა და წამოვა
და კვლავ გიხსენებ, დედავ,
დღისით რომ შენთან ვსაუბრობ,
ღამით სიზმრებში გხედავ.

მენატურე ქალს

წარსულში, როცა იყო ჟინი, ხალისი,
გიტარის გარდა ფუნჯიც მქონდა, რას არ ვხატავდი,
მაგრამ როდესაც ტრაგედიად მექცა მაისი,
მე გაღიმებულს, დიდხანს, დიდხანს, ვეღარ მნახავდით.
წლები გარბიან, რაღაც რჩება, რაღაცა ქრება,
დიდმა ტკივილმა მახსოვრობა მაინც დაღარა.
ის ტრაგედია დღესაც ისევ დამყვება ყველგან,
თუმცა ამდენი შემრევია თმაში ჭაღარა.
ამ სიბერის ჟამს,მყისიერად გაჩნდა სურვილი,
ლექსები ვწერო, ვუჯდე მოლბერტს, ვხატო და ვხატო.
მინდა მოვიკლა რაღაც ჟინი, რაღაც წყურვილი,
მობრძანდი ჩემთან ანგელოზო, ლამაზო ხატო.
და ნუ შეგრცხვება, თუ , - ნატურიდან დავიწყებ ხატვას,
შენს შიშველ სხეულს თუ თვალებით ვეამბორები,
მე შედევრსა ვქმნი ამ ტილოზე, ვისრულებ ნატვრას,
შევქმნი შედევრს და კმაყოფილი გავიზმორები.
სიამოვნებას მომგვრის ჩემი შრომის შედეგი,
ათმაგად კიდევ სიახლოვე შენთან ყოფნისა.
და დავაპირებ, კიდევ შევქმნა ტილო შემდეგი,
ბოლოს და ბოლოს გამოცხვება კვერი ობლისა.
შენ კი მითხარი, რასა ფიქრობ, ან რა გაღელვებს,
მე მოგწონვარ, თუ უფრო მეტად ჩემი ნაშრომი,
გამოგიგონებ საფერებლად ათას სახელებს
და სიყვარულიც გამოჩნდება ახლადნაშობი.

ფატი კურტანიძე

დაიბადა 1957წელს, 1982 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი . მუშაობს ხაშური ს პირველ საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ლექსებს წერს ბავშვობიდან.

მამას....

შენ გცივა, გცივა, თოვლი გახურავს,
ძვლებამდე გატანს ცივი ქარონი..
ისე ჩქარობდი ყველაფრის ზრუნვას,
თითქოს ზეცისკენ მიიხარობდი...
ჩამოქოჩრილან ხეები თეთრად,
გულს ჯავრი აწევთ სპეტაკ ტოტებზე...
და მოწყენილან ჩიტები ობლად
ისე, ვით სული ხორცსა ტოვებდეს.
შენ გცივა, რადგან თოვლი გახურავს
და აღარ გინდობს ცივი ქარონი..
ისე უეცრად დაგვტოვე, მამა,
თითქოს ზეცისკენ მიიხარობდი...

ჩემი ღმერთის ანაბარა

აღარავინ აღარ შემხვდა,
დარდის გზა რომ ჩამოვქენი,
ყველგან მკაცრი ქარი მცემდა,
ბილიკს ჯავრით ამოვყევი.
ვარსკვლავები ჩამქრალიყო,
თეთრი მთებიც არსად ჩანდა,
მაინც ურჩად მოვდიოდი
ჩემი ღმერთის ანაბარა.

მგზავრი

წვიმა - გაუნელებელი,
დარდი - დაუნელებელი,
საწუთროს ტკბილ-მწარე გზაზე
მგზავრი აუნელებელი.
-სად მიმიყვან, ჩემო გზაო?
-რავი, სადაც შენ ინებებ.
-უფლის გზაზე დამაყენე!-
აქ ვერაფერს ვერ ვიჩემებ.
წვიმა - გაუნელებელი,
დარდი - დაუნელებელი,
საწუთროს ტკბილ-მწარე გზაზე
მგზავრი აუნელებელი.

იქნებ, თეთრი გვირილების დროა!...

დროა, მოვრჩე საწუთროზე ქვითინს,
დროა, ფიქრი გავაყოლო ნიავს,
იქნებ, დროა გაზაფხულის მოსვლის,
იქნებ, თეთრი გვირილების დროა!...
მალე სურნელს შეიძენენ მთები,
მალე თოვლი დაადნება კალთებს,
ჩამირბენენ გარდასული წლები -

ღამე ფიქრებს ჩემთან ერთად ათევს,
შეიჭმუხნა მწვერვალების შუბლი,
ნაოჭები დააჩნდებათ თვალთან,
შევეყარე გაზაფხულის სურვილს,
როცა დავრჩი ჩემს საკუთარ თავთან.

ნიჟარა

აღარ გჭირდება განცდა გრძნობების,
ისედაც შიშველი ნერვი ხარ,
რადგან
დაგჯაბნა

ჩემი ჰობი პოეზიაა

ყოველდღე იმის გაფიქრებამ,
რომ დედამიწა
შენი გულივით ნამცეცა
ყოფილა -
ნამცეცა აზრებით,
ნამცეცა ფიქრებით,
ნამცეცა გრძნობებით...
რას იზამ, ვერსად იმალები,
ლოკოკინასავით
ნიჟარაში შემძვრალი
შიშით ცახცახებ
და გულისფანცქალით
იმას ელოდები -
როდის მოგაგნებენ...

იტრია

მზია მაღალდაძე

დაიბადა 1949 წლის 18 მაისს, ხაშურის რაიონის სოფელ ზემო ოსიაურში. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული და ფერწერის ფაკულტეტები . ბავშვობიდან წერს ლექსებს და ხატავს. პირველად დაიბეჭდა რაიონულ გაზეთში. 1978 წელს - ჟურნალებში „ცისკარი“ და „ საქარ-თველოს ქალი“. აგრეთვე, გორის ლიტერატურულ გაზეთ „შემოქმედში“. არის ისტორიის, ხატვის და ხელოვნების პედაგოგი.

***

თიხის ქვებზე დავწერ ლექსებს,
ქაღალდს დავიწყების სული ახლავს,
მუზის მოფართქუნე ფრთებზე,
სიტყვას ავიწყდება დაღლა.
იქნებ კომპიუტერს ვანდო
ლექსი მომავლისთვის თქმული,
რაღაც არ მგონია სანდო,
სულ სხვაა თიხის სული.
ცივილიზაციების ექო,
დროის უნდობლობას ბაწრავს,
მაგრამ კითხვის ნიშნებს გვაწვდის
და გულს დაუნდობლად კაწრავს.
უკან ლაბირინთის კვალით
ვაწყდებით ირონიულ მზერას...
და იდუმალი და მკაცრი
გვიზიდავს ღვთიური ენა,
თიხის ქვებზე დავწერ ლექსებს,
ვეღარ ვანდობ ქაღალდს ფიქრებს,
მომავალში მზეს გავხედავ,

ჩემი ჰობი პოეზიაა

აღარ მოვკვდე ასე, იქნებ...
ცრემლსაცა და სიხარულსაც,
ალბათ სულ სხვა საზომებით
ასწონიან, დასწონიან
უცხო დროის აზროვნებით.
გაოცების გაოცებით,
უღმერთობით ჩვენი დროის
კიდევ ერთხელ გადაშლიან,
თიხის ფურცელს, სასოებით.
თიხის ქვებზე დავწერ ლექსებს,
ქარი ფიქრებს ვეღარ წაშლის,
ხოლო ღრუბლებს ტკივილების
ძველებურად ველზე გაშლილს
ახალ დროის უცხო თვალის
დასანახად მიმოფანტავს.

***

თუ ჩამთვლი შენი
ნეკნის ნაწილად,
თუ მომერევა შენი სიცილი,
შენს დღეთა რემას
გავინაწილებ
და მერე მზესთან
ერთად ვიწვიმებ.

***

ობობასავით ყველა თავის
დასასრულს იქსოვს, როგორც დასაწყისს...
სანამ საკუთარ ტკივილებში
თავს ჩამოიხრჩობ,
იქნებ, შენ ირგვლივ კიდევ ერთხელ მიმოიხედო,
გაქცევას მუდამ მოახერხებ,
რა გეჩქარება?...

***

დრო გარბის ცივად
დრო გარბის ცივად
და მე რომ მკითხოთ,
და მე რომ მკითხოთ,

ჩემი ჰობი პოეზიაა

სული სულია და
ცისფრად ბრწყინავს,
ხორცი ხორცია...
თავისას ითხოვს.

იმერეთი

მაგონდება სიზმარივით
მთები ნისლებს ჩახვეულნი,
ბილიკები, გზაწვრილები
ახვეულ-გადახვეულნი.
ჩანჩქერები თმაგაშლილნი,
კლდენი კალთაჩახეულნი,
ყვავილები მთვარეულნი,
ტრფობის ალში გახვეულნი.
საურმე გზა, გზაზე მგზავრი
ხურჯინგადაკიდებული,
ცაში სიოს მოტანილი
მოძახილი დიდებული,
ზევით ტყე-ტყე მოწანწალე,
მობუტბუტე ავი ქარი,
ხევში წყაროს ლიკლიკი და
კოკით მხარზე ტურფა ქალი.
წყავის წვერზე ღრუბლის ფთილა,
მთვარე სევდაგარეული,
ვაზი ცრემლებშეუმშრალი,
თმაქოჩორა ყანეული.
მოჩურჩულე საკრაულა,
თხილნარებში გაბაწრული,
ცერზე მდგარი ოდები და
ეზოებში ღობეწნული,
სიზმარივით მაგონდება
მთები ნისლებს ჩახვეულნი,
ბილიკები ტყედმავალნი,
ახვეულნი, ჩახვეულნი.

ჩემი ჰობი პოეზიაა

***

გზა გამიგრძელდა...
სადღაც სულ ახლოს
მეგულებოდი ნუგეშად ჩემდა,
ყაყაჩოების ფერით ვთვრებოდი,
მჯეროდა, ლოცვა გადამარჩენდა.
რწმენის ტაძრებში ანთებულ სანთლებს

მეც შევუერთე ჩემი სანთლები,
მთვარის ჩრდილებთან დაჩოქილ ლოდინს
მუდამ შენს ლამაზ სახელს ვარქმევდი.
გზა გამიგრძელდა...მოულოდნელად
გამოჩნდა სევდის მწუხარე სახე,
შენც იქვე ახლოს ყელმოღერებით
იელვე, მაგრამ ვერ დამინახე.
გზა გამიგრძელდა...
სადღაც სულ ახლოს
კვლავ მეგულები
 ნუგეშად ჩემდა...

***

ამ ხუმრობა-ხუმრობაში
გაივლიან წლები,
ამ ხუმრობა-ხუმრობაში
გავჭაღარავდები,
ამ ხუმრობა-ხუმრობაში
გადამავიწყდები...
მერე ქარი გამაცილებს
თეთრი ბილიკებით...
მერე სევდად დამირჩება
გაფრენილი წლები,
მერე წავალ, მოგშორდები,
გადავიკარგები,
მერე ვეღარ გაგიხსენებ
მზეს შევუერთდები.

გიორგი მეტრეველი

დაიბადა ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურში. დაამთავრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტი.
პედაგოგი, სპორტსმენი, საზოგადო მოღვაწე, პოეტი.
გამოცემული აქვს 14 კრებული.
ჰყავს ორი შვილი და ერთი შვილიშვილი.

ისევ გამობრწყინდება

უსუსურმა დროებამ სისხლი არივ-დარია,
სისხლმწოველ მტერს ჰგონია საქართველო მკვდარია!
მაგრამ, აგერ მოდიან მხრეგაშლილი ბიჭები,
ფოთლებივით გაფანტეს დარდები და იჭვები!
ვინ თქვა, თითქოს დაკნინდა ჩემი დედა-სამშობლო?
მაშინ, როცა მარადი სიყვარულით აქ ვცხოვრობ!
ნაქურდალით კი არა, ნაღვაწით ვარ გაზრდილი,
დავდივარ და დამყვება საკაძის აჩრდილი!
თუ არ ეტრფი ბალღივით ბალახს ფეხით გათელილს,
არ გწამს დედის მანდილი, მაშინ არ ხარ ქართველი!
მარიამ-ღვთისმშობელის უნდა გედგას ნათელი
და ბაძავდე ილიას, თუ ხარ ნაღდი ქართველი!
ვინ თქვა, არ გვაქვს სამშობლო? - ჩემთვის გასაკვირია!
ყველა ნაღდი ქართველი დღეს ნამდვილი გმირია!
როცა უჭირს ქვეყანას, მაშინ უნდა ივარგო,
ცრემლისდენით, ვაებით არსად გადაიკარგო!
მტერი შენი ყმობისთვის არსაკადრისს იკადრებს...
დაჩაგრული ქვეყანა უფრო უნდა გიყვარდეს!
მითხარ, - კაცი ისეთი რატომ უნდა დავინდოთ,
ვინც ყვარყვარე არის და თავის ჭკუით, -დავითობს.

ჩემი ჰობი პოეზიაა

მე არ მინდა ვიცხოვრო ვაი-ვიშით, გოდებით!
მე თევდორეს სისხლი მაქვს და ამ სისხლით მოვკვდები.
მოდით, ერთად ვიაროთ ჩვენი მტრების ჯინაზე...
სიმართლე ვაღიაროთ ყველამ უფლის წინაშე!
როცა ყველა სანთელი ერთ სანთლად აინთება,
საქართველო დიდებით ისევ გამობრწყინდება!
ისევ აღორძინდება გენი მამა-პაპანის
და ისევ გადირწევა რუსთაველის აკვანი!

რა ხმები მესმის

რა ხმები მესმის, რა ხმები მესმის!...
მოდის ყიჟინით, მოდის გუგუნით...
ჰა, ხოხობივით აფრინდა ლექსი,
სჭექს დასაწყისი ამ საუკუნის.
თავისუფლება, თავისუფლება!
ყველა ტაძარში ზარივით რეკავს,
ღმერთო, ახარე ქართველი ერი
და ნუღარ მისცემ შამბსა და ეკალს!
რა ხმები მესმის, რა ხმები მესმის!
აღარ ეტევა სხეული კანში...
თავისუფლების გაღვივდა თესლი,
ქართველნო, ერთურთს დავუდგეთ მხარში!
ყური მიუგდეთ, გამოდით გარეთ
და მოისმინეთ, რა ხმები მესმის...
დამუხტულია მშობელი მხარე
და ხოხობივით აფრინდა ლექსი.

ლიტერატურულ შხამით

„გათენებამდე ვწუხვარ
ლიტერატურულ შხამით!“

ყოველდღე ვეძებ რითმებს,
კიდეც ვამაყობ ამით.
მერე აღვმართავ ფიქრებს
„ლიტერატურულ შხამით!“
გალაღებული გული

ჩემი ჰობი პოეზიაა

ბევრჯარ დავატკბე კალმით
და გავუჩინე წყლული
„ლიტერატურულ შხამით!“
      როს ვეფიცხები ბუხარს,
მფარავს სიზმრების შლამი...
გათენებამდე ვწუხვარ
„ლიტერატურულ შხამით!“
      მე გავათეთრე ღამე
განა ორი და სამი,
ცრემლით ვალბობდი წამებს
„ლიტერატურულ შხამით!“
      ყოველდღე ველი სიკვდილს,
ვდგავარ ქიჩოზე ხრამის
და გადავრჩები ისევ
„ლიტერატურულ შხამით!“
      ნელა მივყვები დაღმართს
თვალსველი დილის ნამით...
გულზე მატყვია დამღა
„ლიტერატურულ შხამის!“
      მზით დასიცხული ხშირად
დამფარა ჩრდილმა პალმის
და დაწყნარება შვძელ
„ლიტერატურულ შხამით!“
      არ მომეკაროთ ახლო
არც დღისით, არცა ღამით
თორემ დაგგესლავთ, ხალხო
„„ლიტერატურულ შხამით!“
      ვიცი, ბოლოს და ბოლოს
გაფერმკრთალდება წამი
და მე მოვკვდები მხოლოდ
„ლიტერატურულ შხამით!“

ნეტავი, კიდევ მანახა

ნეტავი, კიდევ მანახა
სოფლის ჭაროში ცხენები.
გაბრაზებული მეველე
რო მოდის ხველებ-ხველებით...

ჩემი ჰობი პოეზიაა

მამის დაღლილი მარჯვენა
და დაკოჟრილი ხელები!
შეჯიბრი ჭიდაობაში,
იქ - ისინი, აქ- ჩვენები...
ქალები - ჩითის კაბებში,
ჩვენს სოფლის დამამშვენები!
ამღერებული ჯჯეჯილი,
ანწვანებული ველები!

ბიჭი დამტკბარი ფაშატის
უუნაგირო ჭენებით
ნეტავი, კიდევ მანახა
სოფლის ჭაროში ცხენები.

ხცისი

ნინო მეყანწიშვილი

დაიბადა ქარელის რაიონის სოფ. ბრეძაში. წერს 13 წლის ასაკიდან. მისი შემოქმედების ძირითადი თემა სიყვარულია. ცხოვრობს ხაშურში. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ერთი შვილიშვილი

შენი სიყვარული ისე ძლიერია

დედას

შენი სიყვარული ისე ძლიერია,
ისე სათუთი და სათნო,
ზის ყოჩივარდას კაბის ფურცლებზე
და, თვით დედამიწას ათბობს.
შენი სიყვარული თეთრი საყდარია,
წმინდა და უფლის მადლით სავსე,
შენი სიყვარული ჩვენი წამალია
ზღვა სურვილებით გვავსებს.
შენი თვალებიდან სითბო იღიმება,
უსიტყვო სიყვარული დაგაქვს,
შენი არსებობა დარდით იბინდება,
როცა ჩვენ სევდიანს გვნახავს.
შენი სიყვარული ისე ძლიერია,
ყველა სიბოროტეს დაძლევს,
შენს თმებს ჭაღარების ბღუჯა ურევია,
ცხოვრება ბებიას გარქმევს...
გარეთ მარტიანი თოვა-ავდარია,
მე შენთან სიყვარული მომაქვს,

ჩემი ჰობი პოეზიაა

შენს გულს ჩვენი დიდი სითბო აბარია
და ქარიც ამ სიყვარულს მოთქვამს....
შენი სიყვარული ისე ძლიერია,
ისე სათუთი და სათნო,
ზის ყოჩივარდას კაბის ფურცლებზე
და, თვით დედამიწას ათბობს.

***

ცხელი შანთებით წამებას მოვრჩით,
ახლა იარებს ვიშუშებთ, გჯერა?
სული ამაღლდა, ძირს დარჩა ხორცი,
გაყინულ თვალებს შეახმა მზერა...
გადახსნილ ტერფებს წვეთი სდის სისხლის,
ასე სისხლებად იტირა ცრემლმაც...
შორიდან ეშმა მოკითხვას მითვლის,
გზაგასაყართან მე ვხედავ ღმერთსაც...
იქა ვარ, მაინც მიწიერს ვხედავ,
აქეთ დარჩენილს მოვტირი ცოდვებს,
ცრემლებით სველი, მუდარას ვბედავ,
შემინდეს, ჩუმად, მოვყვები ღამეს.
მზად ვარ, წამებით დავშანთო სული,
მზად ვარ, ცოდვების ვზიდო ტიარა,
მე უშენობა მაშინებს იქით,
სულის და ხორცის გაყრა კი არა!!!

***

დამნაშავე ხარ,
როცა ამბობ, რომ დაიღალე.
როცა ხარ დედა
და შვილების გემძიმა ტვირთი.
უნდა შეგეძლოს
ჩუმად, წყნარად ითმინო სევდა,
საკუთარ მკერდთ
შეაჩერო დარდების ზვირთი!
დამნაშავე ხარ,
როცა ღამეს სიჩუმით აკრთობ,
როცა ლოდინით გაბეზრებულს
გერევა ძილი.
როცა საკუთარს არად არ თმობ,

ჩემი ჰობი პოეზიაა

თავგანწირვაში
როცა ხარ ფრთხილი.
დამნაშავე ხარ,
თუ დედობის გემძიმა ტვირთი.
შენი ვალია , დაითმინო
 დარდების ზვირთი!

ჩემს შვილებს

ნუ გაგაოცებთ სიმუხთლე კაცთა,
ნურც პირფერობით აივსებთ უბეს,
ცხოვრების წესი ღალატით გაცვდა
მავანმა წყაროს არჩია წუმპე.
ნუ გაგაკვირვებთ ქლესა ღიმილი.
ბოროტი უზის უამრავს მრჩევლად.
ყველას გერჩიოს გულის ტკივილი,
რომ გაგიჩინა მეგობრის სევდამ.

***

ჩემი დაკარგვა წამია,
მერე პოვნაა ძნელი,
შენი ღალატი შხამია,
სიკვდილი იცის ნელი.
ერთგულებაში რა ყრია,
სჯობს იყო ჭრელი გველი,
ცოცხლად გულს მიწა მაყრია,
მიწა, ჯერ კიდევ სველი.
ცხოვრება დიდი ფარსია,
ტრაგედიაა მთელი,
ახლა კაპიკის ფასია
ეგ გამოწვდილი ხელი.
შენი ღალატი შხამია,
სიკვდილი იცის ნელი,
ჩემი დაკარგვა წამია,
მერე პოვნაა ძნელი!



მურად მთვარელიძე

დაიბადა 1953 წლის 22ივლისს,
ქ. ხაშურში. პოეტი, პროზაიკოსი,
ლიტერატურისმცოდნე, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, განათლების
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
მისი ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ,
ბერძნულ, უკრაინულ ენებზე. არის სომეხი
მწერლის ეღიშე ჩარენცის პრემიის ლაურეატი.
2011 წელს მონაწილეობდა იუნესკოს მწერალთა,
მეცნიერთა და ხელოვნების მუშაკთა კლუბის მიერ
გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმში,
საბერძნეთის ქალაქ ატალანტში.

***

ცა ჰგავდა ქალწულს, ჯერ მიუკარებს,
რომელსაც ახლა დაეტყო მკერდი,
მე კი ზეციდან ვკრეფდი ვარსკვლავებს
და შენს უძირი თვალებში ვფენდი...
მთვარეს, ო, მთვარეს, ამ გადარეულს,
გულში ვიკრავდი სუნთქვის ალმურით
და სიყვარულის სხივისფერ ფსალმუნს
უდარაჯებდა შლეგი ამური.
მინდოდა , რაღაც ისეთი მეთქვა,
მაგრამ სანაცვლოდ შევრჩი ქარმხედრებს,
მე შევაჩერე სამყაროს ფეთქვა
და შენს ცხელ გულში ჩამოვახედე....
სხვა რა შემეძლო? ქარს - ცად აფრენილს
გავუბედავდი როგორმე ამბორს?!
ღმერთო, მინდოდა, ეს ყველაფერი
ცას სიბერის ჟამს შენთვის ეამბო...
აწ, მეყვსეულად წლებმა იქუხეს
და მეც ვბერდები გარდარეულად,
თუმც სიყვარულის ბილიკ-ჭიუხი
ამ გულში მაინც არ დალეულა.
და ახლა როცა, მთვარეც აქვეა

და თითქოს ქარსაც არვინ აკავებს,
მკლავს ერთი კითხვა: ზეცის ბაღიდან
ვინ ჩამოგიკრებს ჩემებრ ვარსკვლავებს?!

ხაშური

ოცნებათა შრაშუნით
და დღეებით ბავშვურით,
იმ შურით და ამ შურით,
სულით, გულით-დახშულით
მეფერება ხაშური....

ატეხილი ქარებით,
მოკასკასე ქალებით,
ტანკენარი ალვებით,
პოეზიის ქნარებით
მეფერება ხაშური....

სულის უდაბნოებით,
მოშრეტილი რტოებით,
დამუშტული ტორებით,
ხშირად - ღვარძლის ტბორებით
მეფერება ხაშური....
სიყვარულის ვარდებით,

სიძულვილის ფარდებით,
მახეების ბარდებით
და ცრემლების დადენით
მეფერება ხაშური....

სიზმრებით და ცხადებით,
მტრობით -გულში ნადებით,
ახდენილი ზღაპრებით
და ჩამქრალი ლამპრებით
მეფერება ხაშური....

მზის სხივების ნაჟურით
და ეკლების ტყლაშუნით,

ჩემი ჰობი პოეზიაა

ჭორებით - დაშაშრულით,
თან - ცინიზმით - საშურით
მეფერება ხაშური....

მეტყვი: - რად არ წახვედი,
არ დამტოვე რატომო?
-იმიტომ, რომ მიყვარხარ
და ვით უნდა დაგტოვო?!
იმიტომ, რომ შენს იქით
სულიც, გულიც მარტოობს,

იმიტომ, რომ მწარე ხარ
ჩემო დედავ-ბატონო...
და თუმც მტრობაც ბევრია
და ის შურიც კვლავ შურობს,
მე ასეთიც მიყვარხარ,
ხაშურო!

უცხოეთიდან

მანდ ვიყავ, თავად ვტიროდი,
წამოველ - გამომეტირე,
წყენა არა მაქვს მცირედიც,
ვარ ისევ შენი მესტვირე.
მანდ ვიყავ, გულად მზე მენთო,
აქ ჩემთვის ქარიც არ ქარობს,
მანდედან ცას გავყურებდი,
აქ ფეხქვეშ გდია სამყარო...
ჩამოველ, კვლავ გავამაგრო
შენი სიმშვიდის სვეტი რომ,
ხელს ნუღარა მკრავ, ოღონდაც,
რომ აღარ გამომეტირო!

წუხელ, სიზმარში, დედაჩემი ლოგინს მიგებდა

იქნებ, შენ მითხრა, ტიალო,
დილავ, ყელ-გულ-მკერდ-შვლიანო,
ჩვენი ლამაზი დედები

ჩემი ჰობი პოეზიაა

დღეს ლოგინს ვისთვის შლიანო?
ცრემლების ფარდებს თვალთაგან
დღეს ვისთვის ჩამოშლიანო?!
ღაწვს ვისთვის ჩაიკაწრავენ
და გლოვას არ მოშლიანო?
დედის გაშლილო ლოგინო,
გნამავს ცრემლების წვიმაო,
ნეტავ, მაგ ცრემლთა სურნელში
უჩუმრად ჩამაწვინაო...
განა არ იცით, რად მტანჯავთ
დარდებო მაღალმთიანო,
დედის დაგებულ ლოგინში
ანგელოზები კრთიანო?!

ნათლისმცემელთან, ხცისში

მთვარეს სხივებით უჭირავს
ცა - ვარსკვლავების ხონჩა,
იქ ერთი ციდა ვარსკვლავი
ნათლისმცემელთან მოჩანს.
და ვიდრე ქარი გადაშლის
ღრუბელთა გრძნეულ ბოღჩას,
ვიდრე ეს ღამე დუხჭირი
მთების წვეროებს ქოჩრავს,
შევყურებ ამ ცას უჩუმრად
კვლავ მოკამკამეს ნორჩად,
რომ ვინმემ არ ჩამჩურჩულოს
ყურში უტიფრად: - მორჩა!
წუთისოფელი ტიალი,
რა ჩოჩიალით ჩოჩავს,
ცაზე კი ციდა ვარსკვლავი
ნათლისმცემელთან მოჩანს.

მიპატიჟება ვერანდაზე

როგორ გელოდა ჩემი ლოცვანი,
გული, მთვარე და ღამის ვერანდა,
შენ კი არ მოხველ და ეს ოცნებაც
უცებ დაჭკნა და გამივერანდა...

ჩემი ჰობი პოეზიაა

ცაზე ვარსკვლავთა სევდა ეყარა,
მე ჩემიც უხვად მქონდა ჭმუნვა და
ფეხზე წამოდგა მთელი ქვეყანა,
რადგან სიზმარი გამიმჭვირვალდა....

ფიქრს მთვარის სხივი მიესალბუნა,
მაგრამ ვერ გათბა სული ვერადა,
დამრჩა სიზმრების თავსაბურავი
და ვარსკვლავებით სავსე ვერანდა...

და ტიროდა აკაკი

„აკაკი ატირდა და თქვა, უამხანაგოდ ვკვდებიო“
ნიცა წერეთლის მოგონებიდან

რამ აგატირა ცრემლებით უხვით,
თავი რად იგრძენ უამხანაგოდ?!
შენ - პოეზიის ფესვმაგარ მუხას
თვით ზეცა უნდა მოგექარაგმოს!
რამ შეაწუხა კაცი-პოეტი,
რატომ ატირდა ღმერთი ზეციდან?
რომელ ამხანაგს უნდა მოეძღვნა
შენთვის ძვირფასი ის ფიც-ვერცხლი და
ვის უნდა ეთქვა ერთი სიმართლე,
თუ არ მზეს - მბრწყინავს ქვეყნის ბომონდად,
სად გაგონილა, ანდა სად თქმულა
ღმერთს ამხანაგად ვინმე ჰყოლოდა?!
ცრემლად გადმოღვრილ ვარსკვლავთ ალმასებს
იმერეთის ცა ჩუმად კვირვობდა
და იქ - სხვიტორულ მიწის ბაქანზე
კაცი კი არა, ღმერთი ტიროდა....

ლერი ნოზაძე

დაიბადა 1955 წლის 9 თებერვალს. 1972 წელს დაამთავრა ხაშურის მეორე საშუალო სკოლა, ხოლო 1978 წელს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის და ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტები. დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა აგრარულ უნივერსიტეტში, დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „ეგრისში“, ეკონომიკისა და სამართლის ქართულ-ბრიტანულ და სხვა უნივერსიტეტებში. 2011 წლიდან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტ „გორგასალის“ ასოცირებული პროფესორია.

ჰყავს მეუღლე და მხოლოდ ორი შვილი. ათი პოეტური კრებულის და რამდენიმე ბიოგრაფიული ესსეს ავტორია.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს

გნებავთ, ნურც მკითხავთ ახლა ნურაფერს,
რადგან შედეგებს ითვლიან გვიან.
ვფიქრობ, აქ მარჯვედ მოსდევს ყუა ხელს, -
ისე ჯანსაღად სუნთქვენ და ვვლიან...
როგორ(ა)ც ამ ვრცელ სივრცეს შეჰფერის,
მაღალი ჭერის აგუმბათებას;
ხვალ, ალბათ, დაცულ ძეგლებს ვემთხვევი, -
თამარის დროშის წილ რომ მმართებდა!
არა და არა! თავს ვერ ვიკავებ
არ ვთქვა, - ამ მხარეს როგორ სჭირდებით!
როგორც ამდიდრებს სიტყვას - სიტყვავე...
თურმე, დღითიდღე წინ ხართ, მკვიდრდებით!
რაც შექმენით და ისახავთ მიზნად -
ლამაზი სიტყვით ჰქვია - მისია!
ვერ აღასრულებს ბევრი მას სიზმრად.
თქვენ კი ხელთ გაქვთ და ქების ღირსია!
მეტს ნუღარ მკითხავთ ახლა ნურაფერს.
მადლს თქვენსას დრო და ...ხალხი მოაფენს!

რეკვიემი -2

დედაშვილობა- ადამიანთა ურთიერთობის თავი და თავი

(გ. დოჩანაშვილი, „რაც მახსენდება“, გვ.379)

დედაშვილობა- უკეთესად რა გაქვთ ნათქვამი?
ნუ გაამღავნებთ, - მის საწყენად ვინ რა იკადრა!
როდის ილხინა დედამ თქვენით, როდის იავდრა!
თქვით, - ვით იცდენდით მის კალთისქვეშ ათას განსაცდელს!
რა არ იღონა, რა არ სცადა, რომ არ დამარცხდეთ!
როგორ ზომავდა ყველა ნაბიჯს თქვენი წინსვლისას!
არად აგდებდა ჯანს და ღონეს, ტკივილს სიმწრისას, -
რომ დაგყოლოდათ შვილთ ცხოვრების შნო და ლაზათი,
საღად ეაზრათ, რაც ახარეთ და რაც ლაღად თქვით;
რომ შეგძლებოდათ ტვირთის ზიდვა უშეღავათოდ,
რომ ძმის იმედად ჩირაღდანი დროზე აანთოთ!
იყოთ სიცოცხლის შემოქმედი სულით-ხორცამდე!
თან გდევდეთ ლოცვა, ღორძინებდეთ კვლავ დალოცვამდე!
რომ იმრავლებდეთ მადლიერთა, სადაც კი წახვალთ,
ზეიმი ერქვას თქვენს ყველა სვლას და ყველა ზრახვას!
ცხოვრობდეთ რწმენით, რომ ღირსი ხართ და გწყალობთ ბედი,
მუდამ გჯეროდეთ რომ მისით ხართ, შვილი ხართ დედის!
ისიც გახსოვდეთ, რომ არ გეტყვით- „შემიბრალეო“.
ვერ გაიხსენებთ, რაც არა აქვს დანაბარები.
მით უკეთესი, თუ დარწმუნდით, ძირი - მწარეობს.
ეს დედითაა სამემკვიდროდ გა-ნა-ბა-რე-ბი.

***

ფაქტებთან ერთად ვმართლდები და
ამასთან ისე,
ლამის წყენად ვთვლი
გადაწყობებს „კარტის საჩემოდ“.
ამბავს შევიტყობ და მეჩრება ზვირთებრი, მყისვე: - შემოძახება - სად ხარ
მარცხებს გადანაჩვევო!?
თითქოს წინასწარ მიმზადებდეს ვინმე ნიადაგს
მუდამ მზად ვიყო მწვავე სიგნალს გავცე პასუხი.

ჩემი ჰობი პოეზიაა

და უცაბედად ვდგები კართან, - სულ მთლად ღიასთან
როგორც ხატის წინ მორჩილი და კრძალვით თავს ვუხრი.
ვეჩოთირები შემოტევებს და გულის კარნახს
აღსრულების ჟამს, - რაც ვისურვე და რაც ჩავუთქვი.

***

როგორც ხელზე მოტორტმანე მიმინო
ამაყი ვარ, ველოდები გამოცდას.
ნაპრეწკალი კიაფდება მზერაში
და ვიფერებ გასართობად „არ-მოცლას“.
მკვრივი სახით დავაფეთებ მხილველებს, -
და შემართულს ცისკენ შევკრავ კამარას,
გული მიგრძნობს ისევე ვიპირველებ -

სუნთქვაც არ ღირს, ლიტონ სიტყვის ამარა.
ღმერთმა ნუ ქნას, - უიმედოდ ჩავქინდრო
თავი . - ჩამრჩეს შუა მდელოს ბიბინში.
ახლა რა ვქნა, - ხმის გაღებაც მრცხვენია:
ვინ - ცხადში კრეფს ტრფობის ნაყოფს, ვინ - ძილში.
მერიდება დავიჭირო თვალწამი.
გზას ავმცდარვარ, ბევრი გამომრჩენია.
მსურს მკვიდრ საქმეს მივუბრუნდე ნაწნავით,
გამოვფინო, - რაც ბუნებით - ჩემია!
თითქოს ძალის, - მტაცებელი ნადირის,
მოზღვავებამ ჩამითრია თამაშში.
მთვარის შუქი მინავლულა უკვე და
გვიანია, მაგრამ მაინც არ ვარ “ შინ.“
მხოლოდ ერთი სატრფიალო სიტყვა და ...
და .. წარმტაცი ქალის მზერას დავიჭერ,
როგორც ხელზე მოტორტმანე მიმინო
მოქნილი ვარ , რომ ჰაერში ავიჭრე.
ვეჭიდები სასიკვდილო ილეთებს
უზოგავად: „აგეთებს „ და „ იგეთებს“.

***

მტაცებლური თვალები ლივლივებენ ზღვასავით,
დაფარული გრძნობები უნდათ გასცენ, გაანდონ.
ნამგალა მთვარისებრმა მზერამ გრძნეულ ფარსმანის
გაშმაგებული პულსის ფეთქვა წამსვე დაადნო.
ქუთუთოებდახრილმა საიდუმლო დამალა
საკუთარი განცდების ყურთასმენად ქცეული,
მიმობნეულ ყვავილთა სურნელების ამალამ
ქაოტური ძალებით გააფთრა სხეული.
წამსვე იგრძნო, გონებას - როგორ ნელ-ნელ
ჰკარგავდა.

თითქოს გმირი ამაღლდა და მეტოქე შეაქო!
მთელი ტანით ცახ-ცახი აღარ ღირდა არად, და... ცხოველმყოფელ
განცდაზე პასუხი- რამ, ვერ აგო.

ცრემლის მონატრება

...და, ამ საქმესაც მივხედოთ!
სულაც არ არის მარტივი...
თვალებს თუ იმად მიხვევთ, რომ
უდრტვინვლად გერგოთ პატივი...
ვერ! ვერ მოგართმევთ შვილოსა!
უფრო იოლად გიშიშვლებთ!
თავს შარავანდი ვის-ცს ჰმოსავს,
ის არად აგდებს შიმშილებს
და, ...” მხოლოდ მად” სჭამს ლუკმასა,
რომ ფიზიკურად შერჩეს გზას.
ესწრაფვის ჟამს სანუკვარსა!
სვლა დაულოცოს მერმე სხვას.
ეს განცდა ისე ალაღებს, -
მზერა აქვს მწველი, სასხვისო...
ახლა მას ზენა განაგებს,
კალამი შვებით სახნისობს.
მიწის სურნელი მოაქვს ბწკარს,
ალმური ასდით სტრიქონებს,
დედის აჩრდილი მოვა წამს!
ნეტავ თუ... რას... მოიწონებს?

ჩემი ჰობი პოეზიაა

ალბათ, შეავლებს თვალს მისად
ისეც კანთიელ ნანახსა -
ძველ ადგილზე რომ დგას ისევ
ამბარს, მადლიან ჩანახს, და ...
დადგება დალოცვის ჯერი:
გულმა ახლა "უნ-გაუძლოს"!
რაკი ამდენი იგრძენი,
შეუძლებელ არს არ გიძმოს
კაცმაც, სულდგმულმაც, ვენახმაც...
გაგიბევრდება საგზალი.
ფონს უამათოდ ვერ გახვალ!
შესდექ. ადიდე ნამგზავრი!
მიწის სურნელი მოაქვს ბწკარს,
ალმური ასდით სტრიქონებს,
დედის აჩრდილი მოვა წამს...
ნეტავ თუ... რას... მოიწონებს?

***

თითქოს უმალვე ვერ მოვუველ თვალში ვერავის.
რომ ასცდენოდნენ გართულებებს, - მსწრაფლ გამაშვილეს.
მაგრამ, უნებურ მომესყიდა თითქოს მზვერავი -
გზა მიმანიშნა „საფეხმავლო" - ვიდრე წამშლიდნენ.
ოო! მართალია ამ „ბანძ word -ზე" კვლავ მეცინება,
მაგრამ რა ვუყო? - აქ ზომაში ჰპოვა ადგილი.
თუმცა, მე, ყოველ თავშესაფარს ვიჩნევ ბინებად -
მაინც ხიზნობა არ გამოდის მუდამ ადვილი.
-რაც შეეხება გაშვილებას, - კი მამშვიდებდა
ცხოვრება ჩემი, - განფენილი ვიწრო კალოზე.
უბრალოდ, - ბლინებს ვჯერდებოდი, - სხვა რომ ჩაროზებს
მიირთმევდა და ... არ იწვევდა ჩემს გაწბილებას.
უნდა განახვათ, როცა შინ ვარ, - როგორ ხარობენ!
და თავი მოაქვთ, (არც ნაკლები) დროის გმირებად!
(კრავად, ბატონო!)
და ვფიქობ, სწორი ავტოგრაფი ახლაც დავტოვე. არ ჩამეძიოთ, სად და რატომ!

ნატო ღონიკიშვილი

დაიბადა 1971 წლის 24 ივნისს ხაშურში, დაამთავრა გორის სამუსიკო სასწავლებელი. მუშაობს ხაშურის დავით კაკიაშვილის სახელობის მეორე საჯარო სკოლაში მუსიკის მასწავლებლად. გამოცემული აქვს ლექსების ორი კრებული. ჰყავს 3 შვილი. ლექსებს წერს 12 წლის ასაკიდან.

შვილებს

სამი სათნოებით ავმაღლდი...
სამი მიზეზით ვარ ამ ქვეყნად.
მათი არსებობით გავლაღდი,
თუნდაც ჩამეთვალოს კვეხნად.
როგორც იდუმალი ორგია,
ფიქრით შორს დაფრინავს ლაშა,
ცეკვავს თვალხატულა გიორგი,
წყვილი სანაშენო ვაჟი.
ერთიც მოციმციმე ლამპარი,
თაროს ანგელოზი ჩვენი,
დედისნებიერა ბარბარე
მღერის და სიმორცხვე შვენის.
სამი სისუსტე მჭირს და მათი
ძალა არაერთხელ მითქვამს...
წმინდა კანდელები დავანთე,
ღმერთო, ნუ ჩააქრობ დიდხანს.

ჩემო ქალაქო

მე შემიყვარდა ჩემი ხაშურის
გრძელი ზამთარი, მოკლე ქუჩები.
აწმყო უმეცარ წარსულს მაშორებს,
ხსოვნას ვღალატობ და ვეურჩები.
მე მენატრება ბოლო სიზმარი
და ღამ-ღამობით ლექსთან ჭიდილი
და როგორც შვება ყოველ ცისმარე
სტრიქონი რითმით გამოჭედილი.
ჩემი ქალაქის ბაცი რიჯრაჟი
დღეს ასე ნაზად ჩემთვის ინთება...
შემოვირიგე მუზა გიჟმაჟი
აწ ვერასოდეს გამიფრინდება.
და შენგან თაყვანს მონატრებული,
ჩემო ქალაქო, ტრიუმფს გპირდები...
მახელებს ჟინი ალმოდებული
და შენი გრილი სიო მჭირდება!

ლოგოსი

წვიმა შეგრძნებებს ასველებს...
ფიქრი ცასავით მძიმდება...
ლოგოსი ისევ მახელებს
და მისით თრობა მინდება.
საწყისი სათქმელს მიშინებს,
სათქმელი სიტყვებს აწამებს,
ვნება მტვერივით შიშინებს,
ვფლანგავ წამებს და რა წამებს.
ნათქვამი ყველაფერია
და არაფერი გამომდის,
ზღვარზე ცხოვრება ძნელია,
ლექსი სულივით ამომდის.

კვლავ მაყრუებენ შთაგონებანი

შორ და იდუმალ მიუვალ ცხრა მთას
და შარშან ნანახ შავ-თეთრ ზმანებას
განვიცდი, როგორც უთოვლო ზამთარს

ჩემი ჰობი პოეზიაა

და უმიზეზო აღფრთოვანებას...
ქვეცნობიერი უჩემოდ იბრძვის,
მე კი ჩემსავე ტყავში ვლივლივებ...
-ფიქრი მაოკებს ვით კბილი სიბრძნის
და ვიდრე რვა მთას გადავივლიდე,
გადაივლიან მძაფრი ვნებანი...
ქარი ერთადერთ ფოთოლს აწვალებს..
კვლავ მაყრუებენ შთაგონებანი,
კვლავ შენი ლანდი წერას მაძალებს....

მე-ფანდის პატრონი

ფერადი წიგნის უფერო არსით
გამჟღავნებულა შავ-თეთრი ყოფა...
მაწვალებს ნამყო-მკაფიო ფარსი
და საკითხავი „ყოფნა-არყოფნა“...
დრო უკან რჩება ყველაზე მკაცრი
და საბოლოო კვდება შიოლა...

დღეს სივრცეებში მიწვევს ზეკაცი...
სულს სულიერი საზრდო შიოდა...
ხანმა უნდობმა მაინც დამინდო,
შემომაპარა ტკბილი საგზალი.
ბედმა ხელებში ფანდი ჩამიგდო
და ცხრა მთას იქით შენთან მაგზავნის.

სურამის ციხე

მარინა ღონღაძე
დაიბადა ხარაგაულის რაიონის სოფელ ნებოძირში. დაამთავრა ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. ლექსებს წერს ბავშვობიდან. გამოცემული აქვს პოეტური კრებული „ფიქრი და ფიქრი“.
ხაშურის პირველი საბავშვო ბაღის დირექტორი.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

თავისუფლება

თუ არ მექნება ჩემი თავის
მართვის უფლება
და სამართალიც ცივ ბორკილებს
დამადებს ხელზე,
მე მირჩევნია შევეწირო
თავისუფლებას
თუნდ ცოტნესავით ვაჟკაცურად
დავიწვა მზეზე....
ჩემში კოდია ჩადებული
თავისუფლების,
დამონებული, უუფლებო
ვერ გავძლებ ქვეყნად,
თვალით მინახავს ნაწამები
სიმართლისათვის
და ქვეყნისათვის თავგანწირვის
კეთილი ნება...
თუ არ მექნება ჩემი თავის
მართვის უფლება
მეც მათებრ მზად ვარ შევეწირო
თავისუფლებას!...

ზაფხულში

მინდა გადავეშვა ზღვაში,
მინდა შემოვეხვე პალმას,
მინდა მთის მდინარეს ავყვე,
ქვის ქვეშ შევეჭიდო კალმახს.
დავკრიფო ნიყვი,
იქვე ნაკვერჩხალზე შევწვა,
ფეხშველი ავუყვე ბილიკს,
მთის ანკარა წყარო შევსვა.
ზაფხული მინდა ვიგრძნო,
გალაზე ვაცვა მარწყვი,
გვიმრის, ნეშოს სუნი ვიცნო,
ქუსლით ვსრისო ანწლი.
ჩემი ბავშვობა მინდა,
სირბილი, სიცილი, ხტუნვა,
ჩქარა არატომ გარბის დრო,
არასდროს ბრნდება უკან?!..

ნუ გეშინია

ნუ გეშინია, ეს ცხოვრება სავსეა მადლით,
ქვეყნად სიცოცხლე, სიყვარული, სიკეთე მეფობს,
ნუ გეშინია, არასოდეს დარჩები მარტო
განსაცდელისას დახმარებას უფალს თუ შეთხოვ.
ნუ გეშინია, ისეთ განცდას არ მოგცემს ღმერთი,
რისი დაძლევა, გადალახვა არ შეგძლია,
სხვაში კი არა, შენს სხეულში ეძიე ძალა
უძლურებიდან გამოხსნის და ... ნუ გეშინია!

თუ გეყვარება

წმინდა მარიამს დავუჩოქებ,
ცრემლებით შევთხოვ,
ყველა წმინდანთან მუხლმოდრეკით
ავანთებ სანთლებს,
რომ სიყვარულით ქორწინება

ჩემი ჰობი პოეზიაა

წილად შენც გერგოს,
როგორც შენ გიყვარს
იმასაც რომ ისე უყვარდე.
ცხოვრების აზრი
მაინც მხოლოდ სიყვარულშია,
ბედნიერებაც მას მოაქვს და
უბედურებაც,
ყველაფერს შეძლებ, გადალახავ,
თავსაც გაწირავ
თუ გეყვარება, თავზე მეტად
თუ გეყვარება.
ამიტომ შევთხოვ ყოველ წმინდანს,
ყველა სალოცავს,
რომ სიყვარულში გამართლება
გარგუნოს წილად,
თუ გეყვარება, თავზე მეტად
თუ გეყვარება,
გაუძლებ ტანჯვას, ტკივილს,
სეტყვას, თოვას და წვიმას.

როდემდე...

რა პატარა ხარ, რა უძლური ჩემო ქვეყანავ!
ერთ დროს ძლიერი, მუხლმაგარი, ფესვებგადგმული,
რუსი ეზოში წყალს არ მასმევს, შვილებს მიტყვევებს,
უფლებააყრილს, ცოცხლეულად მიკვდება გული.
როდემდე უნდა ითარეშოს უსამართლობამ,
როდემდე უნდა ისაკუთრონ ტაძარნი ჩვენი,
როდემდე უნდა ბოგინებდეს გაუტანლობის
უზნეობის და უსულობის გამხრწნელი სენი?!..

-როგორ მწყურია, მენატრება სამშობლო ძველი,
დიდი დავითი, უძლეველი თამარი ბრძენი,
ღმერთო! - შეგვინდევ უსჯულობა,
ცოდვანი ჩვენი
და დაგვიბრუნე საქართველო
ძლიერი, მრთელი!...

ალიკო ღონღაძე

დაიბადა ქვიშხეთში 1953 წელს. დამთავრებული აქვს თბილისის სამხატვრო აკადემია. ლექსების წერა გვიან, ორმოცდახუთი წლის ასაკიდან დაიწყო. ამჟამად მუშაობს ქვიშხეთის კულტურის სახლის მენეჯერად. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ერთი შვილიშვილი.

***

შენი ხსოვნა ახლა უფრო მტანჯავს,
როს დამთოვა სუფსარქისმა თმებში,
ახლა, როცა მივკუსკუსებ დაღმა,
როცა ლამის გამითავდეს ლექსი.
ახლა უფრო მენატრები, კარგო
ღამის სიზმრებს როს სინაზე ახლავს,
ახლა უფრო, ახლა უფრო გნატრობ,
როცა გულში სიყვარული გაქრა.

მთვარის ნარქენი

ბულულზე ვიწექ გულაღმა,
ჭოტი გულმკვდარი კიოდა,
პირველ სიყვარულს ვტიროდი,
მთვარის ნარქენი მტკიოდა.
ცრიატ ვარსკვლავებს ვმწყემსავდი,
ცა მადგა დიადოსანი,
სამყარო ხელში მეჭირა,
ვით აკვნის კრიალოსანი.

მხატვარი პოეტი

ვიშლები ვედრებად და ყოფის მინდორზე
ატყვია სიცოცხლეს ნასროლი ნიშანი,
მე ვიცი, სულ მალე იოლად მოგძვრებათ
მაგ აფთრის სახეზე ეგ ნუკრის ნიღაბი.
და სულის სიშიშვლე შეგაკრთობთ ბავშვივით,
ნაჩვევი იყავით სხვის სახით ცხოვრებას,
რას იზამთ, გვამები მიწაში ლპებიან,
სული კი ღრუბლებთან ზეცაში ცხონდება.
ზღვის ტალღებს ქვიშაზე გამოაქვთ ნანთხევი,
ვერ გუობს სიწმინდე ჭუჭყსა და ლიანგებს,
მდუღარე ცრემლები ჩამოსდით პირფერად
შვლის ხორცით გამამღარ ნილოსის ნიანგებს.
შეშლილებს დორბლები გადმოსდით ქაფივით,
გრიალებს, ძაგძაგებს დაღლილი სამყარო,
რამდენი ტკივილი, ცრემლი და ვედრება
თოვლივით მოახშო მათ ალმა ბახმარომ.
თქვენ შეკრთით, მაგრამ მე სუსხივით მკაცრი ვარ
და ხვდებით, ცხელ გულზე არავის არ ვინდობ.
თებერვლის თოვლჭყაპი შლეგივით მაშფოთებს,
-სადა ხარ, მიშვილე, ჯრიალა ამინდო,
ვერ ვიტან სიშიშვლეს შუახნის დიაცის,
ყველაფერს თავისი დრო აქვს და ადგილი,
თქვენ ალბათ გგონიათ რომ კაცის ანთება
არც ისე ძნელია და არც ისე ადვილი.
თქვენ ახლა მიცქერით ზიზღიან თვალებით,
მე კი, თქვენ რას ფიქრობთ, სულ ფეხზე მკიდია,
არ მოგწონთ? მიბრძანდით, არავინ არ გიჭერთ,
სხვა ვინმე მოძებნეთ, ქვეყანა დიდია.
სულ ცოტაც და მალე გავქრები თოვლივით,
არა ვარ ტუტუცი, ყვავობა ვიწამო,
მაგარი ფოლადიც ნაგდები დიდი ხნით, -
უთქვამთ, რომ შეჭამა წლებმა და მიწამო.
ღალატი და შური მძვინვარებს მიწაზე,
არ შველის გულწრფელი ლოცვა და ნათელი,
სიწმინდე, ზნეობა ობოლო ნერგია,
ვერ გვინთებს სიბნელეს პატარა სანთელი.

ჩემი ჰობი პოეზიაა

შორია შენამდე და გადის რაც ხანი,
უფრორე ახლდება ის ძველი ტკივილი,
ვის ესმის - ყრუ ძილით დაყრუვდა ქვეყანა,
არავის აღელვებს ეგ შენი კივილი.
მომშორდი, ვერ გიტან, მაშფოთებს ეგ სახე,
თუმც ერთ დროს მათრობდა იმედი-მსახური,
გაძარცვულ თვალებით თანდათან იშლება
ღვთისმშობლის სავანე-კარედი ხახულის.
აენთო ცისკარი ოცნების ვარსკვლავად,
მეც ბუმბულს ვისწორებ გაფრენის მოსურნე,
თუმც, ვიცი, ვთავხედობ, არა მაქვს იმედი,
არ წყალობს უფალი მიწიდან მოსულებს.
ჰა, ვრჩები მიწაზე, უეცრად ვიღვიძებ,
სიზმარი ყოფილა ეს მიეთ-მოეთი,
სულგრძელად შემინდეთ, თუ რამე შევცოდე,
გულწრფელად ქედს გიხრით მხატვარი - პოეტი.

სტუმარი

ვიყავ... მტანჯველი ფიქრები
გადადი-გადმოდიოდა,
ბუხართან თვლემდა ცინდალი,
გარეთ ნამქერი კიოდა.
უცებ მომესმა ძახილი,
მოვყვები უცხო ნაპირებს,
კარი გამიღე, - ამ ღამეს
შენთან გათევას ვაპირებ...
ავდექი, მივლაგ-მოვლაგდი,
თან მქონდა სტუმრის სირცხვილი,
გავაღე... ჰაი, დედასა!
კარებში იდგა სიკვდილი.

***

მომავალი ეჭვის თვალით უმზერს წარსულს სისხლიანს,
ახლაც მზარავს შეძახილი: -ილია ვარ, ილა!!!
შენ საიდან, საქართველოვ, ამოდენა შუღლი,
არ გაწუხებს? წიწამურთან გახვრეტილი შუბლი?

იამზე შავიძე

დაიბადა 1970წლის 11 აგვისტოს. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობს ილია ჭავჭავაძის სახელობის ხაშურის მესამე საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

უკეთესი

ლანდს ჰგავდა, ადამიანებში მოსიარულეს.
სანთელივით მქრქალი და ცრიატი ჰქონდა სახე .
ბავშვობისდროინდელი ნაიარევი მის უფერულობით გამორჩეულ გარეგნობას კიდევ უფრო თვალშისაცემს ხდიდა.
დადიოდა უცნაურად, თითქოს გორაკებზე მიაბიჯებსო.
არ უხდებოდა მისი სიარული თბილისის ქუჩებს.
ჭამდა თეფშთან ახლოს, თავჩარგული, ხარბად, თან უგრძნობლად.
უცნაურად დაებინდებოდა ხოლმე თვალები.
არ მიყვარდა ამ დროს მისი შეხედვა,
არ ვიცი, რატომ.
მისი ფერდაკარგული სახის შემხედვარეს გაგიკვირდებოდა,
ისეთი სავსე ჰქონდა სხეული.
იცინოდა გულით.
ხანდახან მიუწვდომელს მიწვდებოდა გონებით.
გრძნობებში თავდავიწყებით გადაეშვებოდა.
ზოგჯერ გულისრევის შეგრძნება დაგეუფლებოდა, ისე გაიტიტვლებდა სულს შენ წინაშე.
ლანდს ჰგავდა, ადამიანებში მოსიარულეს.

ჩემი ჰობი პოეზიაა

გული მიგრძნობდა, ჩემზე უკეთესი იყო.
ვერ კი ვხვდებოდი - რით.
თითქოს მე უფრო მიყურებდნენ ერთად ყოფნისას;
მასზე უკეთ დავძვრებოდი გონებისა და სულის კუნჭულებში;
კალამიც მე უფრო მომყვებოდა, ვიდრე მას;
სიტყვაც მიგნებული ვიცოდი.
არც გორაკები მეჩვენებოდა ფეხქვეშ სიარულისას.
სახეც არ მქონდა ცრიატი, უფრო თვალშიმოსახვედრი კავკასიური
სიმკვეთრით გამოვირჩეოდი.
მაგრამ მაინც ვგრძნობდი, ჩემზე უკეთესი იყო.
არ მშურდა.
უბრალოდ ვერ ვხვდებოდი, რით.
პროვინციული უხერხულობით იწყებდა ურთიერთობებს.
გულისამრევი გულწრფელობით გადაგიშლიდა სულს.
შუადღისას უკვე ისე დაიღლებოდა,
ჭკუასუსტობის ელფერი გადაჰკრავდა დაბინდულ თვალებზე.
მე კი შუაღამემდე მაზოხისტური სისასტიკით ვმუშაობდი. ვკითხულობდი, ვწერდი
უმალ დაეძინებოდა.
მე კი კოშმარები მტანჯავდა.
გაიღვიძებდა, ისეთი სიხარული ედგა თვალებში, უნებურად გული
დამიმძიმდებოდა ხოლმე.
მე კი გათენებაც არ მიხალისებდა ბებერ გამომეტყველებას.
ლანდს ჰგავდა, ადამიანებში მოსიარულეს.

დადიოდა უცნაურად, თითქოს გორაკებზე მიაბიჯებსო.
არ უხდებოდა მისი სიარული თბილისის ქუჩებს.
ხანდახან მიუწვდომელს მიწვდებოდა გონებით.
დაღლილობისას ზოგჯერ ისე დაებინდებოდა თვალები,
ჭკუასუსტობის ელფერი გადაჰკრავდა თითქოს.
ვგრძნობდი, ჩემზე უკეთესი იყო.
არ მშურდა.
.....
საოცრად მენატრება.
ცხრაწლის წინ გარდაიცვალა.

ჩემი ჰობი პოეზიაა

არ უმტყუნია ალღოს ჩემთვის!
მართლაც, უკეთესი ყოფილა ჩემზე!

ახლობლები

მძაგს ბოვარის უმწიფარი, ბილწი ტრაგიზმი.
ალბათ, ავტორსაც სძაგდა.
ამიტომაც შექმნა შედევრი.
.....
ფიქრები მღრღნიან.
უსაგნო სევდა მიჭამს გულს.
უმისამართო , შეუცნობელი ეჭვი თუ უეჭვობა მამძიმებს.
.....
ქალი და ბავშვი საოცრად ჰგვანან ერთმანეთს.
ფარულად ვაკვირდები დედა-შვილს.
სახის წყობასა და თავის ქალის ფორმაზე შეამჩნევ გენეტიკას.
ბავშვი 2 წლამდე იქნება.
დედის კაბის საკინძეს ჩაჰფრენია,
ალბათ, კიდევ ძუძუს წოვს.
დედა არ ეურჩება შვილს.

ქალის სიკეკლუცეს პროვინციული იერი გადაჰკრავს,
საგულდაგულო,მოწადინებული.
დედა-შვილი საოცრად ჰგვანან ერთმანეთს.
უსაგნო სევდა მღრღნის....
ქალისა და ბავშვისკენ გამირბის მზერა.
ქალის თვალებში ნაჩვევი სიხარული ჩანს.
კიდევ უფრო შემძაგდა ბოვარის უმწიფარი ტრაგიზმი.
.....
ქალს ქმარი ჰყავს.
მთელი დღის ნაშრომი გვიან ბრუბდება შინ.
გაოფლილია.
ენატრება ცოლი....
ქალს ძუძუებიდან რძის სუნი ამოსდის.
კაცს შვილი გაახსენა ამ სუნმა.
ვნებიანი, მადლიერი და ნაზი ეალერსება ცოლს.
ქალი კმაყოფილია.

ჩემი ჰობი პოეზიაა

იგი „ბუნებითი ცოლია“.
ქმრის სუნი უყვარს.
მათ არ იციან თავიანთი მარტივი ყოფის მშვენიერება.
არც უსაგნო სევდა უჭამთ გულს.

არც ეჭვი თუ უეჭვობა უმღვრევთ ხასიათს.
არც მზერა აქვთ ეკლიანი.
მოსწონთ ყველაფერი, რასაც აკეთებენ.
თუმცა არ ფიქრობენ თავიანთი მარტივი ყოფის მშვენიერებაზე.
.....
გული გამითბა.
.....
მძაგს ბოვარის უმწიფარი, ბილწი ტრაგიზმი.
ალბათ, ავტორსაც სძაგდა.
ამიტომაც შექმნა შედევრი!...

ხათუნა ჩიტაძე

დაიბადა ქ. ხაშურში 1977 წლის 17 იანვარს. წარჩინებით დაამთავრა ხაშურის რკინიგზის მეოთხე საშუალო სკოლა და თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ინსტიტუტი. მინიჭებული აქვს საქართველოს მხატვართა კავშირის ოსტატის წოდება (ნაქარგობა, ყაისნაღი, ქსოვა). 1995 წლიდან მუშაობს მე-9 საჯარო სკოლაში ხელოვნების მასწავლებლად.

ჰქონდა რამდენიმე პერსონალური და შერეული გამოფენა ხაშურში, გორში, თბილისში.

ლექსებს წერს 5 წლის ასაკიდან. არის 2 კრებულის ავტორი. ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

***

მზე თმებზე მეხება
და მკითხავს:
- ჩამოქსოვ სადარდელს?
პასუხი მზადა მაქვს:
- თავს არ დამანებებთ,
სადამდე?...

უბრალოდ, ქსოვაში
ვიყენებ სადა ფერს,
რომელიც ძალზედ ჰგავს
სადაფებს!
... და ჩემთვის ვიტოვებ
სადარდელს!

***

ვერსად ვერ გავყარე ეს სევდის აფრები!
ტალღები, - ფიქრები ეჭვის და ციების!
მითხარი, მითხარი თბილი და სამღერი,
ამ გულს საალერსოდ სულ აღარ მიელი?..

მე შენით ვთენდები და შენით ვღამდები!
ვნებდები ოცნებებს ფერადებს!
ხომ იცი, ძვირფასო, მე თეთრი ტილო ვარ,
სხვა ვერვინ მოხატავს და გააფერადებს!!!

ყაყაჩო

ვიცი, ვიცი მე ყაყაჩოს
ხვედრი, დარდი, ნაფიქრი.
კი! სიყვარულს დაარქმევენ,
მერე?.. - მერე დაფიქრდი!
ისე უცბად მოცელავენ,
ღიმილს არც კი აცლიან!
უსათუთესს, წმინდა გრძნობას
ერთ წამში გააცლიან...
პურის ყანას ეწირება
სისხლისფერი სინაზე,
დიდი დრო არ უწერია,
როგორც წყლის წვეთს მინაზე!
ეს „იყო და არა იყო“-ც
სიმღერაა, არია...
სულ მგონია, რომ ყაყაჩო
მარტოსული ქალია.

წვიმა ზამთარში
(ხალხურ კილოზე)

ზამთრის ბინდ-ბუნდში ტირის ცა,
ვფიქრობდი, თოვლი მოვაო...
სიმღერა მესმის მისი და
წვეთებმა გამიყოლაო.
მინდა მოვწყვიტო ეს წელი!
ტირიხარ, რატომ? - ო, ცაო,
წვიმა რად მინდა, ვერ ვშველი
ცრემლებს საკუთარს, როცაო!
სიტყვა მომინდა მე შენი...

ოცნებების ვარ მონაო,
აზრი დამიფრთხა ურჯულო,
თოვლიც გამიწყრა მგონაო!
ზამთრის ბინდ-ბუნდში ტირის ცა
ენძელა როდის მოვაო...

***

ხელში ვიღებ მულინების
გაღიმებულ ძაფებს, ფერებს...
სურათს ვხატავ : ყვავილებით
შეზავებულ მწვანე ღერებს.
მხიარული ტილო მოჩანს,
ნახატს ქარგა აამღერებს!
შეშურდება წრფელი გული
ყვავილების მღვრიე ღელეს!
ეღიმება ჩემს დაქარგულ
ნახატს ვერვინ გაახელებს!
დაგიხატეთ ჭრელი ტილო!
თქვენ ოღონდაც შეიფერეთ!

მამულის საწუხარი

მარად მებრძოლი, შუბლს ჯავრი...
თუმც, ველარ ვუწყი, რა გვჭირს!
მუდამ მაცვია აბჯარი,
მაინც ვერ ვშველი ამ ჭირს!
შენ უკვე არც არას ამჩნევ,
მამულს იმედად რაც სურს!
მე იალმაგი მაცვია,
შიგნით გინახავ წარსულს...
დიაცო, შენი ფარაგა
ურცხვად გახსნილა ჩემ წინ!
სულ დაგავიწყდა მამული,
პაპას გულზე რომ ეწვის...
შვილები, გასაშვილები,
უცხო ქვეყნის კარს გიწევს!
სადა ხარ, ჩემო ქართლის ძევ!
თუ გულიც აღარ გიცემს!

რატომ არ ფიქრობ, რომ ხვალ, ზეგ
ნგრევად იქცევა ბზარი!
იცოდე, გიხმობს მძლეთამძლე,
შენი მამულის ზარი!

ქართლს

კი, მართალია,
მე ვარ შენი ერთი ყვავილი...
მაგ უზარმაზარ ზურმუხტ ველზე
ამონახეთქი!
მარად მცინარი,
უამრავ ფერად ყვავილებს შორის!

და თუ დავჭკნები,
ჩემი ქვეყნის ველზე დავჭკნები!
რადგან ოცნებაც ჩემი ეს არის...
რომ შევძლო შენთის ყვავილობაც....
და მიძინებაც...
კი, მართალია,
მე ვარ შენი ერთი ყვავილი...
მაგ უზარმაზარ ოქროველზე
ამონახეთქი!
შენთვის მცინარი...

ჟუჟუნა ცენგირაშვილი

დაიბადა1949 წლის 1იანვარს. ქარელის რაიონის სოფელ დირბში. ბავშვობიდან წერს ლექსებს.

გამოცემული აქვს ერთი პოეტური კრებული „უნაპირო სევდა“. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი, ორი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი

ფრონის ხეობა

ფრონის ხეობა ხელთუქმნელი ხატია ვ
ჭყუმპალაობდა ფრონის წყალში ჩემი ბავშვობა,
იქ, სერიანზე ეკალ-ბარდზე ნაჩხვლეტი თითი
ფირუსულებს და ია-იებს ფერებს მატებდა.
გვირგვინად მდგარი ჩემი დირბის მკვებდა
ჰაერი,
გადმოვყურებდი დვანს, ტახტისძირს, ბრეთს და
დიდმუხას,
საღოლაშნიდან ავნევამდის დარბოდა თვალი,
ჩემი ხეობის გულში ჩაკვრა ნამდვილად მსურდა!
ახლა გავყურებ თეთრად ნათხარ სანგარს თუ
ყორეს,
ჩემს სამაჩაბლოს მტრებმა ზღუდედ რომ შემოავლეს,
ორგულმა „ძმებმა“ დაგვინგრიეს სალოცავები
და უწმინდესი საფლავები გადაგვითხარეს!

ნაცრად გვიქციეს რუდუნებით ნაშენი კერა,
აგვიყარეს და ლტოლვილებად გვიქციეს ხალხი,
მტკივა ტკივილი ჩემი მიწის, ჩემი ხეობის,
გულზე შავ ნისლად დამწოლია სამშობლოს ჯავრი!

ანდერძი გურამს

მზეს, მთვარეს და ვარსკვლავთა გუნდს
შენ გაჩუქებ ყველას ერთად ,
მაღლა ცაზე ჩამოგიბამ
ცისარტყელას საქანელას.
ფეხთ დაგიფენ მინდორ-ველებს
ამოქარგულს ია-ვარდით,
საქართველოს შენ გიტოვებ,
გაუფრთხილდი, დაიცავი!
მორაკრაკე ნაკადულებს,
აქაფებულ წყალ-ჩანჩქერებს,
სულყველაფერს შენ გიტოვებ,
სულყველაფერს შენ გაჩუქებ!
შენ გიტოვებ, ჩემო გურამ,
ჩემი გულის, სულის ნაწილს,
საქართველოს გაუფრთხილდი,
მოუარე, დაიცავი!

პატარა შვილთაშვილს - ნიას

მობრძანდი და მზე ჩამიდე გულში,
პაწაწინა ანგელოზო, ნია!
ახლა ბებო კი არა ვარ მარტო,
დიდი ბებო და დიდედა მქვია!...
სიყვარული დამაფინე გულზე,
ბედნიერი გამეზარდე, ნია!

სევდა

გულსაბნევივით მკიდიხარ გულზე...
ჩემო სევდავ   და ჩემო ტკივილო,
შენ - აფხაზეთო და სამაჩაბლო,
რამდენჯერ უნდა გამოგიტირო?!
თუ უნაპირო გამრიყავს სევდა
და ამოხდება ამ გულს ჩივილი,
ისევ შენა ხარ, ისევ შენა ხარ -
დიდი დარდი და დიდი   ტკივილი.

მტკივა სამშობლო შემოძენძილი,
გულში ხანძარი როდემდე მენთოს,
გამიმთლიანე, გამიძლიერე,
ჩემი სამშობლო, მაღალო ღმერთო!

აპრილი

გაიბუტება ლორთქო აპრილი,
რადგან გავყვები თავნება ქარებს,
ვერ დავიოკებ გიჟურ სურვილებს,
მივეახლები ხასხასა ყანებს.
თმებში ჩავაწნავ ცისფერ ღიღილოს,
თავზე დავადგამ ყვავილთა გვირგვინს,
ასე გიჟი და გადარეული
ვერ დავიოკებ ამომსკდარ ქვითინს.
ნუ დამიძახებ, -ლურჯო აპრილო,
არა, მე შენთან არა ვარ ვალში,
დედის მანტია თუ მომახურე,
სამაგიეროდ დედა წამართვი.
ისევ გავყვები თავნება ქარებს
ცისა და მიწის გიჟი მაყარი,
იქნება ვპოვო სულის საოხად
თავშესაფარი, - მშვიდი საყდარი.

ყაყაჩო

შავწამწამა, შავხალება,
ალისფერო ყაყაჩო!
ამშვენებ და ეფერები
ზურმუხტისფერ ყანასო,
მაყრიონად გვირილაა,
სოსანი და ღიღილო,
გიმღერიან მწყრის გუნდები
„ქვიტკირ, ქვიტკირ, ქვიტკირო“
დღით - მზე გადგამს
ოქროს გვირგვინს,
ღამეს - მთვარე გიქარგავს,
ალიონი გეფერება,
ცვარი გულმკერდს გინამავს.

ფიქრია ჭულუხაძე

დაიბადა 1985 წლის 16 ოქტომბერს, ქ. ხაშურში. დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ქართული და ებრაული ენების სპეციალობით, შემდეგ ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურა ანგლისტიკა-ამერიკანისტიკის სპეციალობით. ბავშვობიდან წერს ლექსებს.

ნისლები

მიუწვდომები, მაღლები,
არ შემომყროდნენ მაინცა,
ეტევებოდნენ ლაღები,
ეურვებოდათ საითაც,
უვნებო მქონდა ტანი მე,
როგორც დაცლილი სავაზნე,
წავყევი, წავეტენინე,
მათ უგზოობას დავეგზნე.
ღალატიანი ნისლები
არა ყოფილან სანდონი,
ნუთუ არ ვესაკლისები,
რად წარმიკვეთეს სასონი?
თვალნი ოცნებით მიცრემლეს,
სული მიწეწეს რა მცირეს, -
თვითონ შეერთვნენ სივრცეებს,
მე, აქ, მიწაზე გამწირეს.

სამყურა

ემუქრებოდა სამყურას
წყალი გაჭრილი ველად;
წამალს ვუპოვი საწუხარს,
მაინც დაგირჩენ ჩემად!
გვერდს დაქადნებით უვლიდა
მრისხანე, ქმნილი ხელად
სამყურამ სამი ყურიდან
ერთიც არ შეიბერტყა.

***

მთიდან წავიდა ნამცეცა თოვლი,
უკანასკნელი გაჰყვა წინარეთ,
კიდევ კარგი რომ წავიდა, თორემ
სულ მარტო იყო დედამიწაზე.



მაყვალა ხაჩიძე

დაიბადა 1948 წლის 25იანვარს. 1965 წელს დაამთავრა ხაშურის პირველი საშუალო სკოლა, 1982 წელს კი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჯერ მეთვალყურედ, შემდეგ სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილების უფროსად, მუშაობდა რაიონული გაზეთის რედაქციაში, ჯერ კორესპონდენტად, შემდეგ რედაქტორის მოადგილედ; სხვადასხვა დროს მუშაობდა პარტიის რაიკომში, გამგეობაში სხვადასხვა თანამდებობაზე. ენის სახელმწიფო პალატის სამმართველოს უფროსად; ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსად, ამჟამად მუშაობს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დამთვალიერებელზე ორიენტირებული პროგრამების მენეჯერად. ლექსებს წერს ბავშვობიდან.

მარგინალიები

***

თვალი მუდამ სინათლეს ეძებს,
გონება - ჭეშმარიტებას,
გული - გულს, ხელები - სითბოს.
***
მქონდა ჟამი სიყვარულისა,
მერე დუმილისა,
ახლა სინანულისა
და არასოდეს სიძულვილისა.

ჩემი ჰობი პოეზიაა

***

შეჭირხლულია ჩემი სულის ყველა სარკმელი.
ამაოდ მითვალთვალებთ.

***

ვით სერაფიტა სარკოფაგში გამომწყვდეული,
მეც ჩემს სხეულში ვარ უვადოდ გამოკეტილი.

***

ვიღაცამ გულზე დამადგა ფეხი
და დამისვარა ლურჯი ღიღილო,
მას შენდეგ დამაქვს სევდის საკანი
შავი და ცივი, ვით მარმარილო.

***

გულში დავიტიე სამყარო,
მზით და სიყვარულით სავსე ვარ.

***

ყველა ადამიანში არის მზე, თუმცა,
ყველაში ერთნაირად როდი ანათებს.

***

დაბადებიდან ყოფიერების ბოძზე მიმაბეს,
ამაოდ ვლამობ ცაში აფრენას.

***

დრო კრიალოსანივით მარცვლავს წუთებს
და მოკლდება წუთისოფელი.

***

დავხეტიალებ ჩემი ქვეყნის კიდით -კიდემდე და
ვეძებ დიდი წინაპრების აჩრდილებსა და ნაფეხურებს.

***

 ფიქრი მუდამ თავხედია,
არაფერს გეკითხება და არასოდეს გემორჩილება.

ჩემი ჰობი პოეზიაა

***

გუშინ ჩემს აივანზე ბუდე გაიკეთეს მერცხლებმა და
მარტოობას ველარ ვგრძნობ, ჩვენი ოჯახი შედგა.

***

მკვახე სიტყვა ტყვიასავითაა, გულს ფლეთს.

***

შენს ცხოვრებას შენ ვერ დაგეგმავ, მით უფრო სხვისას.

***

დაბადებასა და გარდაცვალებას შორის გადებული ტირე - კაცის მთელი ცხოვრებაა.

***

ბედნიერება წყლის ჭავლივითაა, მუჭაში ვერ მოიმწყვდევ.
***

ძერა მუდამ საკბილოს ეძებს. ბულბული - ვარდის ბუჩქს.

***

ეჟვნების წკარუნით ჩაიარეს ცხენებმა, დავინახე, ჩემი ახალგაზრდობა ეტლს მიჰყვებოდა.

***

მე არ მიძებნია მეგობრები, ჩვენ გზაჯვარედინზე შევხვდით ერთმანეთს და ასე შევრჩით ბოლომდე.

ჩავბუდარავდი ჩემს უმზეო ფიქრის ხაროში, ნუ შემაწუხებთ!

***

ახლა დავრწმუნდი, ამაოა თურმე ყოველი, თუ სიყვარულით არ იღვიძებ ყოველ ცისმარე.

***

მარტოსული კი ვარ, მაგრამ ნუ შემიბრალებთ, ცოდო ვარ სიბრალულისათვის.

ჩემი ჰობი პოეზიაა

***

ჩემი სამყარო - სევდის საკანი მუდამ თან დამაქვს კუს ბაკანივით.

***

ჩემი ცრემლის და სისხლის ნაჟური სალბუნად დააფინეთ მამულის წყლულებს.

***

მე -ეს ჩემი სულია,
სხეული - ჩემი ნაცრისფერი მოსასხამი.

მანანა ხრიკაძე

დაიბადა 1951 წელს ბორჯომის რაიონში,
1968 წელს დაამთავრა ხაშურის რკინიგზის სკოლა,
1970 წელს - თბილისის საფინანსო ტექნიკუმი.
1978 წელს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი.
მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციებში ეკონომისტად.

რეკვიემი სიყვარულს

ზეცა ბინდ-ბუნდში ჩამოჰგავს გლოვას,
სულთქმა რიალებს ცრემლების ღვრაში.
და რეკვიემის მძიმე აკორდი,
ობოლ ბავშვივით ცახცახებს ქარში.
მოდიან მოაქვთ უნდო ხელებით
მქისე სინდისით, მჭლე გვირგვინები,
მძუნაობს მათი იაფი მზერა
და მათი უჭვთო ჩანაღიმები.
არავინ ნანობს ფიწრიან სულში
ცხრაკლიტულები როგორ მიტეხეს
მერე სინაზეც, შურის ზვარაკი,
შეუბრალებლად გადამიჩეხეს.
და ბორგნეული მდუმარედ ვუმზერ,
სიავით ნაჩეხ მარტვილ ნაწილებს
და მიუსაფარს კუბოს კარამდე
ქურუხიანი მწუხრი მაცილებს.
თოვდა და თოვდა, სულის ნაფლეთი,
მიწას ჩავფალი, ვით თოთო ბავშვი
და რეკვიემის ბოლო აკორდი,
დაობლებული შემომრჩა ქარში.

***

ასეა ბედის მუხთალი ხმობა,
დიდებას ბოჭავს არდაცალება.
ნეტავ, რა არის უმეტეს ტკბობა -
დაბადება თუ გარდაცვალება?
მანამ კი ვერცხლის თვალხარბი მონა,
უფლის სავანე, ცათა მუქება,
გზად მოზიმზიმე უმადურთ კონა
თუ კვირინელის შემსუბუქება.
და შემოქმედის იდუმალ ზრახვას
რას მიუხვდება მცირე ან დიდი,
როცა შაბათის ურიათ მარხვას
გადაცრეცს უფლის შარავანდედი.
და მცირდებოდა მარტვილის ადლი
და მამა-ღმერთსაც ასე ენება,
ჯვარს მიუძღოდა იესოს მადლი
და ჯვარცმის წილი ბედნიერება.

გვიანი ელეგია

მთვარის ნამიან და ბეც კივილზე
მკერდს იკაწრავენ მიდამოები
და ზესთა ლტოლვას მზერას უკენკავს
ჟამი საცნობი ამაოების.
და მე მგონია, ჩემი არსება
ღვთის ნებით კი არ დაბადებულა,
რომ შეუცნობელ სამყაროს სული
აქ უნებურად დავანებულა.
და მკრთალეული კვალს ვეცეცები,
სადაც პირქუში სუფევს წყვდიადი,
უღრანი ყოფის აბდაუბდაში
გზააბნეული ავბოდიალდი.
და ვით ბზარიან მრუდე სარკეში
ანარეკლები ტრიალდებიან,
მადლის ლანდები, წაღმა ნაკვეთი,
ცხადში პირუკუ ფორმის ხდებიან, -
ვგრძნობ, გაოგნებულს, როგორ და რითი

ჩემი ჰობი პოეზიაა

ავად მევსება ხელისგულები
და შეუცნობელ სამყაროს მკვიდრნი
ნიშნისმოგებით თრთიან სულები.
და მეჩვენება ცით მოკვეთილი,
მიწის ლაბირინთს როცა ვშორდები,
თვითრბეული და ნაალაფარი,
გრძნეულთ სამყაროს ვემშვიდობები.

ჩემს ზოდიაქოს - „მშვილდოსანს“

მობურულ ცაზე ქადილით ელავს
ზესთაზის ფიცით დანაბარები.
და ნაქარიშხლარ ახოვან მხრებზე
აბჯრებს ირგებენ ცხენფაფარები.
და მოკუშტებულ კაბადონებზე
ფლოქვთა გრიალი ქუხს დაუნჯებით,
ფარულ განზრახვას დახარბებული

ფრთებს გამართავენ ისართ ბღუჯები.
და მოთქარუნე კენტავრთა რემა
ღრუბელს გაჰკვეთავს, როგორც ბრმა ტყვია
და მშვილდოსანთა ნაიარევი,
ნაომარ ზეცას ელდად ატყვია.

***

იმ მიზეზიან დღიდან
რა ბედად გამებუტე,
შეხედე, ცვივა ციდან
ტყემლების სისათუთე.
მზემ სხივით ამოჭყიტა
ცისარტყელების ბუდე,
რამ ჩააშვავოს, ნეტავ,
ეს მარტოობის ზღუდე.
კვლავ მოთმინებით ვიტან
შენს ბავშვურ სიჯიუტეს,
მე მაინც: - „ჭიტა -ჭიტა“,
შენ? ისევ - „ბუტე-ბუტე“.

ლალი ჯაფარაშვილი

დაიბადა ხაშურში. დაამთავრა ხაშურის პირველი საშუალო სკოლა, შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. გამოცემული აქვს სამი ლირიკული და ოთხი საბავშვო ლექსების კრებული. მიღებული აქვს მაყვალა მრევლიშვილის და შიო მღვიმელის პრემიები. დაჯილდოვებულია ქრისტიანული პოეზიის დიპლომით. მუშაობს მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში შემოქმედებითი სტუდიის პედაგოგად. არის მწერალთა კავშირის წევრი.

ზღაპარ იყო
(გუთნისდედას)

შენთან ერთად უნდა მეხნა, პური უნდა მომეყვანა,
დიდგვალვაში დამეტირა ჩაწოლილი მწიფე ყანა.
მკათათვეში, თაკარაზე, გამეფინა ოქროკალო,
შენთან ერთად მეღიღინა „ჰოპუნა“ და „არხალალო“.
მარილიან ხელისგულზე მეგრძნო ხარის ენის ხაო,
ნასეტყვ ზვარში მეღრიალა, - ზეცამ რისთვის შემრისხაო!
შავმიწისთვის უცნაურად შემეღიმა ნაგვემ-მაშვრალს,
მზეს დაეწვა ჩემთვის კანი, ხოშრაკს უნდა დაეშაშრა.
ხელისგულით მომესინჯა დაკოჟრილი შენი ხელი,
და უბრალოდ კი არ მეთქვა სიტყვა მოსაფერებელი, -
კვირამალზე მექადაგა, შემეყარა ერი, ბერი,
ვით წმინდანის, - შენს სახელზე, ჩამომექნა ცხრა სანთელი.
ცხრავე ერთად, შენს მარანში, წმინდა ალით დამწვარიყო,
სიტყვა შენი, საქმე შენი, ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო.

***

გაჭვარტლულ ბუხარს ჩამოჰყვა ოხვრა!-
ეს, შემოდგომის შრიალი ისმის...
ტყეში, ფოთლების ხატულა ნოხმა,
ხავერდოვანი გადიკრა ნისლი.
ღრუბელმა შთანთქა კაციც და მზეცა,
ბუნებამ ვეღარ გაუძლო ამდენს
და შემოდგომის მწუხარე ზეცამ
პირი მოუხსნა დაგროვილ დარდებს!

ამაოების შეცნობის მერე

რა გამჭვირვალე გახდა ყოველი,
თითქოს რენტგენის თვალი ჩამიდგეს,
სიმშვიდის მიღმა ღელვას მოველი,
მეხთატეხაში - მზიან ამინდებს.

იმედი ისევ გულივით ფეთქავს,
რომ დავივიწყო მიწის ტორტმანი
და მრუმე ნისლებს, წვეთებთან ერთად,
ზეცაში მიაქვთ კაცთა ცოდვანი...

დროჟამის უფსკრულს ვაფარებ ზღაპარს, -
სიბრძნე-სიცრუით დაცვარულ ფერებს,
შავ-თეთრი ხდება სიცოცხლე, რადგან,
ამაოების შეცნობის მერე!

ბროწეულის ყვავილობა

თიბათვის დამდეგს, მაისის ბოლოს,
ბროწეული რომ ამოანათებს ,
დაეწინწკლება მარწყვი და ჟოლო
მზეზე გაწოლილ მწვანე წარაფებს
და სულის სარკმლის იალკიალი
ჰგავს მირონცხებით ღმერთთან ერთობას,
როცა შეიცნობ ამ მთის, ამ ბარის
და დედაენის ერთადერთობას! –
გათანგულს ქართულ სიტყვის ზარხოშში,

ჩემი ჰობი პოეზიაა

გამოგაფხიზლებს გაზრდილი ფიქრი,
რომ დედამიწა, ამ სამყაროში,
უნათესავო ბავშვივით მიქრის!
რომ ცხადზე მეტი აუხსნელია,-
რაღაც, შენზე და ჩემზე ძლიერი,
რომ დღე და ღამე პასუხს ელიან
დასაბამიდან დასალიერით.
სიცოცხლე - თვალის დახამხამება
და ვერშეცნობის მრუმე სამარი!....
რომ სიხარულის ლაღმა ქარებმა
სულ დაივიწყეს შენსკენ სავალი!...
ღვთის ნებით, ფიქრი, ფიქრს რომ მოება,
ისევ გიბრუნებს მწვანე წარაფებს!
და ვიღას ახსოვს ამაოება,
ბროწეული რომ ამოანათებს!

ბავშვებს

მრეშმა წაშალა სულის საგზალი,
ცის ბილიკით რომ მოჰქონდა ნიავს
და ახლა, ყველგან, დღისით თუ ღამით
მხოლოდღა ქვენა ქარები ქრიან!...
ვინ გადამალა კრიალა ზეცა,
სიმაღლის ნატვრა, სიშორის ხიბლი?...
ურჩხული საშიშ საცეცებს კეცავს
და შორიახლო მაცდურად გვივლის!...
- ვერ შეგატოვებთ ამღვრეულ ღვარებს,
დაბოლილ ფიქრებს, უაზრო მზერას...
-ბავშვებო, ჩქარა გამოდით გარეთ, -
ცის მოსაძებნად მიმყავხართ ყველა!

სიკეთე

-ხელში ამიყვანე, - სიკეთე მეხვეწება,
-მძიმე ხარ-მეთქი, - თვალს ვარიდებ,
-ამიყვანე! - მდუღარებას აფრქვევს სიკეთე,
მე მხოლოდ ვჩანვარ კუთხოვანი და უხერხულად სატარებელი,

ჩემი ჰობი პოეზიაა

ხელს თუ შემახებ, განათდება შენი სამყარო,
დამიჯერე და შემახე ხელი,
ერთი სული მაქვს, ამოვავსო ჩაბნელებულ კედელ-ყურეს სიცარიელე!
-აი, ასე! - უკვე შენში ვარ, ადამიანო, ბროწეულისფერ დარბაზების
ერთადერთი მბრძანებელი და მეპატრონე.
ნება-ნება მივირთმევ შენი გულის ნაჟურს, ვხდები ულევი
და ვღიღინებ ჩემს უძველეს საგალობელს, კარგად მომისმინე:
მთაში მიწურია ერდოჩამოშლილი,
ბარში მოხუცია ხელებდაკოჟრილი,
ხნულში ნიკორაა ბედზე აღრენილი,
კვალში პატრონია სახრეაღერილი,
იქით ტაძარია ტრაპეზგაძარცული,
თავის პლანეტაზე ნაღვლობს უფლისწული...
შუქი ენატრებათ წმინდა კელაპტრისა,
კაცი კაცითაო, შენ კი ნეტარ ვისად?
შენ კი სხივად ვისად, სითბოდ ვისად მოხველ?
ვისთვის ამზეურებ სიხარულის ნოხებს?
-ადექ, გაემზადე, საკეთილოდ სხვისად,
შუქი ენატრებათ წმინდა კელაპტრისა!

სურამი

ლეილა ჯახველაძე

დაიბადა ქარელის რაიონის სოფელ ავლევში. პროფესიით ბუღალტერი. ლექსების წერა ადრეულ ასაკში დაიწყო. პირველად ლექსები გამოაქვეყნა 2005 წელს ლელა ფრონელის ფსევდონიმით გაზეთ „ქართლის ქრონიკებში“.
პირველი ლექსების კრებული “ცისკრის ქარაგმა“ გამოვიდა 2010 წელს. ორასზე მეტი ლექსის ავტორია.

უფალო!

ვიწამე...
ველოდე,
ვეძიე,
ვეწიე!
უფალო, შენმიერ
სიტყვას ჩავეძიე,
მიწაზე ბნელოდეს,
სინათლეს ველოდე,
მჯეროდეს,
მწედ ოდეს
მწვდებოდე...
უფალო, შენმიერს, -
უცილო მშვენიერს,

-არამც! კაცთაგანის
ნაბოძებს, ბედნიერს!...
-მზე მიბნელდებოდეს,
ისე ვბერდებოდე, -

ჩემი ჰობი პოეზიაა

მე ბედს ვჯერდებოდე,
მხოლოდ შენმიერს...

***

მზე - ზედაპირი,
მთვარე - სარჩული,
აქ - დედამიწის
კაბა კვართული,
ბრწყინავს
მამული -
ჩანგ-გამართული,
მაქვს
სამღერალი
ენა - ქართული!.

***

ფარავანო,
ვერ ფარავო...
მაგ დარდს
როგორ დაფარავო?
ხერთვისს ციხე დაცემულა,
ქარი
როგორ დაქარავნობს...
ფარავანო,
მტკვარს გაჰყევი,

თქვი
საქმენი საარაკო...
ძველ დიდების
ამბავს გკითხავთ
ხერთვისისას
- საარაგვო...

აღარ დავიგვიანებ

წმინდა ნინოს სავანე...
ბოდბის მზე იღვენთება;
აქ, უღრანის სანახებს
დავაბედე ხეტება.
-აღარ დავიგვიანებ!
წყაროს ცივი ფეთება
მერმისს მივალიანებს
(ფიქრი მიჰყვა ლიანებს)...
სიო ფრთებით მეფერა,
მზე სწვავდა მაყვლიანებს.
-აქ რომ მადლი ტრიალებს, -
მტერი გაგვიტიალდეს!...

სამაჩაბლოს ცისარტყელა

შვიდივე ფერი დავიტირე შვიდ დაფეთებით,
შვიდივე ფერი, დამსხვრეული კიდე ოცნების,
მშვიდად გული ვერ დავიტიე შვიდნაფერები...
შვიდივე ფერი დავიტირე შვიდ დაფეთებით.
და ლაჟვარდებში ვეხეტები დანაფეთები,

ვგრძნობ, ცისარტყელა ნამეტია შვიდ საოცრების.
შვიდივე ფერი დავიტირე შვიდ დაფეთებით,
შვიდივე ფერი, - დამსხვრეული კიდე ოცნების.

My hobby is poetry (In Georgian)

Periodical Literary Miscellany No 8

გამომცემლობა

სარჩევი

ეკა ბაქრაძე	3
ციცინო ბურნაძე	8
ნანი გაჩეჩილაძე	14
კლარა გელაშვილი - კვინიკაძისა	17
გივი გელაშვილი	21
თევდორე გოგოლაძე	28
ეთერ გონგლაძე - ცხოვრებაშვილი	32
ლილი გრიგალაშვილი	35
მანანა დანგაძე	38
შოთა დარბუაშვილი	41
იზო ელიაშვილი	46
დარეჯან თაგვაძე	50
რევაზ თუმანიშვილი	53
მიხეილ თუმანიშვილი	57
ციური ინასარიძე	61
მარიკა კვინიკაძე	63
ერეკლე კორკოტაშვილი	66
რევაზ კოშკაძე	73
ფატი კურტანიძე	75
მზია მაღალდაძე	78
გიორგი მეტრეველი	82
ნინო მეყანწიშვილი	86
მურად მთვარელიძე	89
ლერი ნოზაძე	94
ნატო ღონიკიშვილი	99
მარინა ღონღაძე	102
ალიკო ღონღაძე	105
იამზე შავიძე	108
ხათუნა ჩიტაძე	112
ჟუჟუნა ცენგირაშვილი	116
ფიქრია ჭულუხაძე	119
მაყვალა ხაჩიძე	121
მანანა ხრიკაძე	125
ლილი ჯაფარაშვილი	128
ლეილა ჯახველაძე	132